სპორტიელი

სპორტული გაზეთი | ოთხშაბათი 14 მაისი 2003 №86 (1857) | ფასი 50 თეთრი

პირველი! გველირსა, გატყდა ნავსი და PIRELLI კახა კალაძე

ჩემპიონთა ლიგის ფინალშია

ანდრეი შევჩენკოს საფინალო სუპერგოლი ფრანჩესკო ტოლდოს კარში

კახა კალაძე და მილანელები დღეს მეტოქის ვინაობას შეტყობენ

ბადრი კეთილაძის ფოტო

ალექსანდრ შტელინი ივო შუშაესაც დაემშვიდობა და საქართველოს ჩემპიონატსაც

საოთხიდან გაქცეული

შუშაპი, ცაპარიასი, პარნევალი და ... ჩემპიონობისთვის მებრძოლ ოთხეულს შტელინი გამოაპლდა

„ტორპედოში“ რაღაც ხდება და ფაქტებს თუ დავეყრდნობით, კარგი არაფერი.

გუშინ ქუთაისური კლუბისა და მისი უკრაინელი მწვრთნელის ალექსანდრ შტელინის გზები გაიყარა.

ზოგადად, მწვრთნელები მიდიან და მოდიან, მაგრამ როცა ჩემპიონატის დასრულებამდე სამი ტური რჩება და გუნდი ლიდერს ოდენ ორი ქულით ჩამორჩება, მწვრთენლის წასვლა სერიოზულ უთანხმოებაზე მიგვანიშნებს.

პრობლემებზე მიგვანიშნებს ის გარემოებაც, რომ კლუბი და მწვრთნელი სხვადასხვაგვარად ხსნიან გაყრის მიზეზებს. კლუბში ამბობენ, რომ მწვრთნელი ცუდი შედეგების გამო გაუშვეს, შტელინი კი ამბობს, რომ თავად წავიდა.

ჩემპიონთა ლიგა 2002-2003
ნახევარფინალი. საპასუხო მატჩი

ინტერი 1:1 *მილანი* (0:0)

0:1 შევჩენკო (45), 1:1 მარტინსი (83)
ინტერი: ტოლდო, კორდობა, მატერაცი, კანავარო, ხ. ძანეტი, დი ბიაჯო (დალმა 46), ს. კონსეისაუ, კ. ძანეტი, ემრე, კრესპო (კალონი 71), რეკობა (მარტინსი 46)
მწვრთნელი: ექტორ რაულ კუპერი
მილანი: აბიატი, კოსტაკურტა, ნესტა, მალდინი, კალაძე, გატუზო, პირლო (ბროკი 89), ზეედორფი, რუი კოშტა (ამბროზინი 64), შევჩენკო, ინძაგი (სერჟინიო 80)
მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი
გაფრთხილება: ინძაგი, გატუზო, დი ბიაჯო, რუი კოშტა, კალაძე
მსაჯი: ჟილ ჯესიე (საფრანგეთი)
85 700 მაყურებელი

უზრდელი მატერაცი (№23) ფილიპო ინძაგისაც ეუხეშა

ივან კორდობას ნამატჩევს ალესანდრო ნესტამ დაუყვავა

ინგლისი

მეორე დივიზიონი
პლეი ოფი. საპასუხო მატჩი
ბრისტოლი 0:0 *კარდიფი* (0:1)

მესამე დივიზიონი
პლეი ოფი. საპასუხო მატჩი
ბორნმუთი 3:1 ბერი (0:0)

ჰოლანდია

პირველი დივიზიონი
გადადებული მატჩი
როდა 5:1 გრონინგენი

შვედეთი

VI ტური
მალმიო 1:1 იორგრიტე

ავსტრია

თასის ნახევარფინალი
ზალცბურგი 0:1 *ავსტრია*
კერნტენი 4:0 მატერსბურგი

GRAZIE KAKHA!
უთხრა ბერლუსკონიმ კალაძეს

კახა კალაძე, პირველი ქართველი ევროპის ჩემპიონთა თასის ფინალში! წუხელ იტალიურმა „მილანმა" თანაქალაქელი და მოსისხლე „ინტერი" ორი მატჩის ჯამში მანჩესტერისკენ მიმავალი გზიდან დაიფრინა.

კახა კალაძეს წუხელვე შევეხმიანეთ. გვეგონა, „მილანის" ფეხბურთელები სიხარულისგან გაგიჟებულ ქომაგებთან ერთად იზეიმებდნენ გამარჯვებას, მაგრამ „შავ-წითლები" რატომღაც გასახდელში იყვნენ გამოკეტილნი...

„მილანმა" და კალაძემ ზეიმი გასახდელშივე დაიწყეს

— ყველანი ძალიან გახარებულნი ვართ, ფინალში გავედით. დიდი მადლობა ყველას, განსაკუთრებით ქართველ გულშემატკივარს. ვფიქრობ, ჩემს გამო ისინი სწორედ „მილანს" ქომაგობდნენ.

— 13 მაისი, დღე ქართული ფეხბურთის გამარჯვებისა. ალბათ, სიმბოლურიცაა, ქართველმა ფეხბურთელმა სწორედ ამ დღეს რომ გაიხარა...

— უზომოდ მიხარია. ვულოცავ ყველა ქართველ გულშემატკივარს ამ დღეს. 1981 წლის 13 მაისი ხომ ქართული ფეხბურთის დიდი გამარჯვების დღეა.

— პირველი თამაშისგან განსხვავებით, უფრო დაცვისკენ იწევდით და ზონასაც ზედმიწევნით აკონტროლებდით, ანჩელოტის სპეციალური დავალება იყო?

— თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ პირველი მატჩი ფრედ დასრულდა, მცველთა უპირველესი საზრუნავი გოლის არგაშვება იყო.

— გოლი კი მაინც გაუშვით...

— რას ვიზამთ, ასეც ხდება. ფაქტობრივად, „ინტერს" გოლი ვაჩუქეთ. თუმც, ახლა ამას არ აქვს მნიშვნელობა, „მილანი" ფინალშია და რომ იტყვიან, გამარჯვებულებს არ ასამართლებენ.

— ნერვიული, დაძაბული თამაში რომ იქნებოდა, იმთავითვე ცხადი იყო. აღელვებული კალაძეც კი ვიხილეთ...

— არაფრის დამთბობი ვიყავით. ერთობ მონდომებულად და შემართებით ვიყავით ყველა. „ინტერის" ფეხბურთელები ძალიან უხეშობდნენ, არასპორტულად იქცეოდნენ.

სერჟიო კონსეისაუ და კახა კალაძე

— მატერაცის ზღვარგადასულ უხეშობაზე გკითხავთ? ერთ მომენტში, მსაჯისგან მალულად მუცელში მუშტიც კი ჩაგარტყათ...

— უზრდელია! კარგი ფეხბურთელობა მარტო თამაშით არ გამოიხატება. ფეხბურთელი მოედანზეც ინტელიგენტი უნდა იყო.

— „ინტერთან" თითქმის ყველა თამაშს სილვიო ბერლუსკონი ესწრება. მისი ტრიბუნაზე ყოფნა, ერთგვარ თილისმადაც კი იქცა „მილანისთვის"...

— ცხადია, ყველას სტიმული გვემატება, მოუცლელობის მიუხედავად, პრეზიდენტი რომ ახერხებს ჩვენს მატჩებზე დასწრებას. ჟინი გვიორმაგდება და ერთობ მონდომებულადაც ვთამაშობთ. ბერლუსკონი, გალიანი და „მილანის" სხვა უფროსობა სულ ახლახან იყვნენ გასახდელში, პირადად მოგვილოცეს წარმატება და ფინალში გასვლა.

— 28 მაისს მანჩესტერის „ოლდ ტრეფორდზე" ფინალში მეტოქედ ვის ისურვებდით?

— ფინალი ფინალია...

— და მაინც, „რეალი" თუ „იუვენტუსი"?

— არ აქვს მნიშვნელობა ვის შევხვდებით. ორივე ძალიან ძლიერი გუნდია, თუმც ჩვენ მხოლოდ ჩემპიონთა თასი გვინდა.

გიორგი მაზაკიძე

ჩემპიონთა ლიგა 2002-2003. ნახევარფინალი. საპასუხო მატჩი

იუვენტუსი – რეალი (1:2)

მადრიდი. „სანტიაგო ბერნაბეუ". მსაჯი: ურს მაიერი (შვეიცარია)

სავარაუდო შემადგენლობები

ბუფონი; ტურამი, ტუდორი (ან პესოტო), მონტერო, ძამბროტა; კამორანეზი, ტაკინარდი, დავიდსი, ნედვედი; დელ პიერო, ტრეზეგე

კასილიასი; სალგადო, იერო, ელგერა, პავონი, რობერტო კარლოსი; ფიგუ, ფ. კონსეისაო, ზიდანი; რაული, რონალდო (ან გუტი)

დისკვალიფიცირებულნი: *იუვენტუსი:* ჩირო ფერარა (1 მატჩი), მარკ იულიანო (1 მატჩი); *რეალი:* არავინ

სული ბრუნდება

ჯობს რონალდოც დავამარცხოთ

REUTERS ტურინიდან

ტურინში რაულიც ჩავიდა

მადრიდელთა ფორვარდი რაული, კაცი, რომელსაც ჩემპიონთა ლიგის ისტორიაში ყველაზე მეტი გოლი აქვს გატანილი, დღეს „დელე ალპიზე" იქნება — ტურინში ლიგის საპასუხო ნახევარფინალური შეხვედრაა, „იუვენტუსი" — „რეალი".

არ არის გამორიცხული, რაულთან ერთად „დელე ალპის" მინდორი ბრაზილიელმა რონალდომაც დატკეპნოს — თუ, რასაკვირველია, ექიმები ჩათვლიან, რომ მსოფლიოს ჩემპიონი გამოჯანმრთელდა — და ორივემ ერთად, ჩემპიონთა თასის ცხრაგზის მფლობელი ისტორიაში მეცამეტედ გაიყვანოს ფინალში.

შეგახსენებთ, რომ ამ გუნდების პირველი თამაში მადრიდელთა გამარჯვებით, 2:1 დასრულდა.

„თავს კარგად ვგრძნობ, დღეს შემამოწმეს. რაც უნდა თქვან, სიმართლე ერთია, გამოვჯანმრთელდი — თქვა რონალდომ გუშინ — საათობით მემატება ოპტიმიზმი. მწამს, თამაშს შევძლებ. ძალიან მსურს ასეთ გადამწყვეტ თამაშში დავეხმარო გუნდს".

არადა, ეს ის რონალდოა, რომელსაც „იუვეს" წინაამდეგ თამაშის ათპროცენტიან შანსს უწინასწარმეტყველებდნენ.

მადრიდელთა მცველი, მიჩელ სალგადო კი მაინც რაულზე ამახვილებს ყურადღებას.

„მას რომ არ ეთამაშა, გუნდი უსუსური იქნებოდა — განუცხადა სალგადომ რადიო „მარკას" — ის გახლავთ ადამიანი, რომელიც მეტოქეებს ნამდვილად სცემს შიშის ზარს და რომელიც პროდუქციას მაშინ უშვებს, როდესაც ეს ყველაზე მეტად არის საჭირო".

სამაგიეროდ „რეალს" არ ეყოლება ფრანგი ნახევარმცველი კლოდ მაკელელე, რომელმაც ესპანეთის ჩემპიონატის ბოლო ტურში, „უელვასთან" შეხვედრაში ბარძაყი იტკინა. ეს შეხვედრა მადრიდელთათვის იმითაც გამოდგა უიღბლო, რომ იგი 0:0 დასრულდა და „რეალმა" ლიდერობა დაჰკარგა.

ტრავმათა ჩრდილმა ლუიშ ფიგუსა და „იუვეს" ყოფილ ლიდერს, ზინედინ ზიდანსაც გადაუარა, თუმცა, როგორც ირკვევა, ყველაფერი კარგად დასრულდა, ასე რომ, მწვრთნელს, ვისენტე დელ ბოსკეს მხოლოდ მაკელელეს ადგილზე ჰყავს ფეხბურთელი მოსაძებნი.

რაც შეეხება „იუვენტუსის" თავკაცს, მარჩელო ლიპის, იგი დისკვალიფიცირებული ედგარ დავიდსისა და ალესიო ტაკინარდის დაბრუნებით გახლავთ კმაყოფილი. სავარაუდოდ, სწორედ ეს ორი მოთამაშე შეუკვეცავს მადრიდელ რაულს ფრთებს. ბრუნდება დავიდსის და ტაკინარდის მსგავსად სასჯელმოხდილი ურუგვაელი პაოლო მონტეროც, თუმცა მას გვერდით მუდმივი პარტნიორი, ჩირო ფერარა აღარ ეყოლება — ახლა ფერარამ უნდა გამოსტოვოს შეხვედრა.

ვინ შეცვლის აწ უკვე იტალიის შვიდგზის ჩემპიონ ფერარას? ან ლილიან ტურამი, რომელიც საფრანგეთის ნაკრებში არცთუ იშვიათად ასრულებს ცენტრალური მცველის როლს, ან იგორ ტუდორი, უნივერსალური ხორვატი.

კიდევ, დისკვალიფიცირებულია იულიანო, ის, ვისთან შეტაკებისასაც დაშავდა წინა შეხვედრაში რონალდო.

„ვიცით, რომ „რეალის" კარში გოლის გატანა შეგვიძლია, მაგრამ დაცვაში გვმართებს დიდი სიფრთხილე, რათა არ გავუშვათ, თორემ მერე სამი გვექნება გასატანი — განაცხადა მარჩელო ლიპიმ — ამ შეხვედრაში გულით თამაშს გონებაც ძალიან უნდა დავაყოლოთ. დიდი მნიშვნელობა ექნებათ ქომაგებსაც. 67 ათასიდან ყველა გაგვამხნევებს და ხელს შეგვიწყობს, რათა თამაში საუკეთესო კალაპორტით წარვმართოთ".

მეტოქეზე კი ლიპი ასე ბრძანებს:

„მადრიდელები მათთვის ჩვეულ ფეხბურთს გვეთამაშებიან — ბურთს ფეხზე მიიწებებენ, ჩვენ კი სივრცეებს გამოვძებნით, ისევე, როგორც ეს პირველ შეხვედრაში გავაკეთეთ და, ვიმედოვნებ, უკეთესადაც".

ხოლო „იუვეს" ვარსკვლავს, ალესანდრო დელ პიეროს რონალდოზე ჰკითხეს.

„თუ ის ვერ ითამაშებს, „რეალი" სხვა დიდ ფეხბურთელებს გამოგვიყვანს. ისე კი, სასიამოვნო იქნება თუ რონალდოიან „რეალს" დავამარცხებთ" — მიუგო მან.

ბაკურა ძედია



REUTERS ტურინიდან

რონალდოს (მარჯვნივ) თამაში უნდა

ფერნანდო იეროს რობერტო კარლოსის გარუმებაც უწევს

იეროს ბეკენბაუეროზა მოსწონს

„მალიორკასთან" ხუთბურთიანი ჯოჯოხეთისა და „უელვასთან" ულიმღამო ფრის შემდეგ „რეალს" ტურინის „იუვენტუსთან" უმნიშვნელოვანესი შეხვედრა ელოდება. ესპანური „მარკაც" „რეალის" კაპიტნის, ფერნადო იეროს წინასამატჩო განწყობის გაგებას ცდილობს.

— როგორ გრძნობთ თავს?

— შესანიშნავად. ვფიქრობ, 35 წლის ასაკისთვის საკმაოდ კარგ ფორმაში ვარ. ესპანეთში ფეხბურთით ცხოვრება სხვაგვარად არ შეიძლება.

— თქვენ, როგორც კაპიტანს, ყოველთვის მეტი მოგეთხოვებათ...

— რა თქმა უნდა, კაპიტნობა უზარმაზარი ტვირთია. ცუდი თამაშის შემდეგ ყველაზე მეტი მე მხვდება. გასაკვირი არაფერია, გულშემატკივარი გუნდის გამოცდილ მოთამაშეს და მით უმეტეს, კაპიტანს წაგებული მატჩის გამო პასუხს მოსთხოვს.

— სტვენამ „ბერნაბეუზე" ხომ არ დაგაფიქრათ?

— „სანტიაგო ბერნაბეუზე" გატარებული 14-წლიან კარიერაში რვაჯერ გავიგონე ტრიბუნებიდან ჩემი მისამართით სტვენა. „სანტიაგო ბერნაბეუ" დღევანდელი დღით ცოცხლობს. მადრიდულ ინჩასას წარსულზე და მომავალზე ფიქრი არ უყვარს. ის, რაც დღეს, კონკრეტული თამაშისას ხდება, მისთვის ყოველთვის უფრო მნიშვნელოვანია. გულწრფელად გეტყვით, ამ დიდებულ გუნდში გატარებულ 14 სეზონს უდიდეს პატივად ვთვლი. ინჩასას კი ჩემს გარდა ბევრი სახელოვანი ფეხბურთელისთვისაც დაუსტვენია. მე არც პირველი ვარ და არც უკანასკნელი. ერთი სტვენის გამო „რეალიდან" წასვლას არ ვაპირებ.

— „რეალს" თქვენთან კონტრაქტის ორი წლით განახლება სურს. საკმარისად ძალმოსილად თუ გრძნობთ თავს ამისთვის?

— დარწმუნებული ვარ, ჩემი მეგობრები ღირსეულად მაფასებენ და მეც მათთვის თავს არ დავზოგავ.

— კონტრაქტთან დაკავშირებით თუ ღელავთ?

— ერთადერთი, რაც მაღელვებს არის ის, რომ „რეალმა" პრიმერადივიზიონისა და ჩემპიონთა ლიგის მოგება შეძლოს. კონტრაქტის განახლება არაფერია ზემოხსენებულთან შედარებით.

— რა განსხვავებაა დღევანდელსა და ხუთი წლის წინანდელ ფერნანდო იეროს შორის?

— არავითარი. 14 წელი „რეალში" გავატარე, 12 ნაკრებში და ყოველთვის მიღწეული შედეგის გაუმჯობესებას ვცდილობ. თითოეული ჩემი გამარჯვება შედეგი იყო უმრავლესობის მხარდაჭერისა და უმცირესობის კრიტიკისა. ტორეადორებს, კალათბურთელებს, მსახიობებს — ყველას თავ-თავიანთი კრიტიკოსები ჰყავთ. მე კი ვცდილობ და ყოველთვის ვეცდები, ჩემი მაქსიმუმი გამოვიყენო და „რეალი" რაც შეიძლება მეტად ვახეირო.

— ამბობენ, რომ დელ ბოსკე ბეკენბაუერს გადარებთ...

— ბედნიერი ვარ, რომ მყავს მწვრთნელი, რომელიც ბოლომდე მენდობა. დიდ ფეხბურთელთან შედარება კი ნებისმიერ მოთამაშეს დამატებითი პასუხისმგებლობის გრძნობას ანიჭებს.

— „რეალის" სავარაუდო მიღწევათა შესახებ ვისაუბროთ. თუ შეძლებს გუნდი პრიმერადივიზიონში და ჩემპიონთა ლიგაში გამარჯვებას?

— ჩემპიონატში „დეპორტივომ" და „სოსიედადმა" ერთი ქულით გადაგვასწრეს. მაგრამ „რეალი" უკვე ყოველმხრივ მობილიზებულია და ეცდება, დარჩენილ ტურებში აღარ შეცდეს და ამის წყალობით ჩემპიონობას მიაღწიოს. ტურინული მატჩი კი ძალიან რთული იქნება. მიუხედავად ამისა, იტალიაში საბრძოლველად და მოსაგებად ჩავდივართ.

— „იუვესთან" პირველ მატჩში მიღწეული შედეგით თუ ხართ კმაყოფილი?

— ერთ გოლსაც კი შეუძლია, ფინალისტის ბედი გადაწყვიტოს. უკან დასახევი გზა არც „რეალს" უჩანს და არც „იუვენტუსს".

— საბედნიეროდ, ტურინში რაული ითამაშებს...

— არ მეგულება ამქვეყნად ფეხბურთში მეტ-ნაკლებად ჩახედული ადამიანი, რომელიც ვერ ხვდებოდეს, თუ რაოდენ საჭირო და ძვირფასია „რეალისთვის" რაულ გონსალეს ბლანკო. შესანიშნავი იქნება, იტალიაში თამაშს რონალდოც თუ შეძლებს.

ლადო ხომერიკი

ჯან, ფრანკო მე და შენა!

რანიერიმ პრეზიდენტს ძოლა შეაპარა

ბოლო ტურში „ჩელსიმ“ „ლივერპული“ დაამარცხა და ჩემპიონთა ლიგის გზას დაადგა. გადამწყვეტ მატჩში „არისტოკრატთა“ შემადგენლობაში 37 წლის იტალიელმა, ჯანფრანკო ძოლამ შეცვლაზე ითამაშა.

შეხვედრის შემდეგ „ჩელსის“ მწვრთნელმა კლაუდიო რანიერიმ კლუბის ბოსების გასაგონად თქვა, რადაც უნდა დაგვიჯდეს, ძოლა გუნდში უნდა დავტოვოთო.

იტალიელი ლეგიონერი ლონდონში დარჩენაზე თანახმაა: „აქაურობას ისე შევეგუე, პირველ დივიზიონშიც რომ დავქვეითდეთ, არსად წავალ. ჩემპიონთა ლიგა ადრეც დამიჭაშნიკებია და ვიცი, ეს ტურნირი მრავალთა ოცნებაა. ახლა ახალი კონტრაქტის დეტალებზე არ ვფიქრობ, მხოლოდ „ლივერპულთან“ გამარჯვებით დატკბობა მსურს“.

კლაუდიო რანიერიმ განაცხადა: „ვიმედოვნებ, რომ ჯანფრანკო კვლავაც ჩვენთან დარჩება. ის თავისი ასაკის კვალობაზე შეუდარებელია. მართალია, კლუბის ფინანსებში ცხვირის ჩაყოფას არ ვაპირებ, მაგრამ იმის უფლება კი მაქვს, რომ გუნდისთვის საჭირო ფეხბურთელები შევარჩიო. ჯანფრანკო ძოლა მომავალი ჩემპიონთა ლიგისთვის ძალიან წაგვადგება. ეს ჩემი სიტყვაა და დანარჩენი პრეზიდენტმა, კენ ბეიტსმა გადაწყვიტოს“.

„ჩელსის“ იტალიელ თავკაცს „პერუჯას“ ზე მარია მოსწონებია, თუმცა ბრაზილიელზე პრეტენზიას მეორე ლონდონური კლუბი, „ტოტენჰემიც“ აცხადებს. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ „ჩელსი“ ჩემპიონთა ლიგაში ითამაშებს, ამ შემთხვევაში ალბათ თავად ზე მარია „არისტოკრატებს“ აირჩევს.

ვაჟა ხუციშვილი

დავჭირით 20 მილიონს

ჯერ გასინჯე, მერე ეტოო

ჟერარ ულიეს განსჯის დრო დაუდგა. პრემიერლიგის მეხუთეადგილოსანი „ლივერპული“ მომავალი სეზონისთვის მზადებას აქედანვე იწყებს. ჩემპიონთა ლიგის მიღმა დარჩენილ გუნდს გაძლიერება სჭირდება. წინასწარი გათვლით, „ჩელსისთან“ მარცხმა და ჩემპიონთა ლიგაში ვერმოხვედრამ მერსისაიდული კლუბი 20 მილიონი გირვანქით აზარალა.

ფრანგი მწვრთნელი რადიკალური რეფორმების გატარებას არ აპირებს. გადაწყვეტილი ამბავია, გუნდიდან იმ ფეხბურთელებს გაუშვებს, რომლებიც დიდი ხანია, სათადარიგოთა სკამს ამშვენებენ. ასეთი ოთხია: პატრიკ ბერგერი, ბერნარ დიომედი, ვეგარდ ჰეგემი და ანელ შავიერი. ბოლო ორი სეზონის მანძილზე ზემოჩამოთვლილნი ძირითად შემადგენლობაში იშვიათად ხვდებოდნენ, მათი ხელფასები კი კლუბს მძიმე ტვირთად აწვებოდა. „სულ ცოტა, სამი ახალი ფეხბურთელი გვჭირდება“ — თქვა ჟერარ ულიემ.

„ლივერპულის“ ყოფილი ლიდერი, ჩეხი პატრიკ ბერგერი სავარაუდოდ დორტმუნდის „ბორუსიაში“ გადაბარგდება, მაგრამ თუ ეს ვარიანტი ჩაიშალა, ალბათ სამშობლოს მიუშურებს.

ფრანგ სპეციალისტს თავდასხმის ხაზის გაძლიერებაც ჩაუფიქრებია. ლივერპულელთა მზვერავები ესპანეთში, მადრიდში ჩასულან და „მალიორკასგან“ „რეალის“ განადგურება რომ უნახავთ, საბუელ ეტოო ამოუჩემებიათ. მერსისაიდელებს ოსერელი ჯიბრილ სისე ჰყავდათ შეგულებული, მაგრამ საბოლოოდ ეტოოსა და სისეს შორის მოუწევთ არჩევანის გაკეთება. თავად კამერუნელმა ფორვარდმა იცის, რომ „ლივერპულს“ მისი გადაბირება სურს: „ჩემით ბევრი ევროპული კლუბია დაინტერესებული, მაგრამ ამჟამად მხოლოდ „მალიორკაზე“ და ესპანეთის თასის ფინალზე ვფიქრობ“ — თქვა ფეხბურთელმა.

ჟერარ ულიე

ვაჟა ხუციშვილი

პრემიერკერძის გემო ბირმინგემს მადა გაეხსნა

კრისტოფ დიუგარი

დებიუტანტმა „ბირმინგემმა“ უძლიერესთა შორის ადგილი დაიბევა და ახლა მომავალზე ფიქრობს.

ინგლისურ კლუბთან კონტრაქტი კრისტოფ დიუგარიმ ორი წლით გაახანგრძლივა. ფრანგმა ლეგიონერმა გუნდისთვის არაერთი საჭირო გოლი გაიტანა და კლუბმაც ამაგი ახალი კონტრაქტით დაუფასა. მთავარმა მწვრთნელმა სტივ ბრიუსმა ფრანგი აქო და ადიდა: „მან ჩვენს წარმატებაში ლომის წილი დაიდო. საფრანგეთში იგი ჯეროვნად ვერ დააფასეს, აქ კი, ინგლისში, მისი ყაიდის ფეხბურთელები მოსწონთ. მის ოსტატობაში ეჭვი არ მეპარება. თითქოს მეორე სუნთქვა გაეხსნა და „ბირმინგემის“ ლიდერად მოგვევლინა“.

ბირმინგემელებმა თავდასხმის გასაძლიერებლად მოლაპარაკება პიერ ვან ჰოიდონკის აგენტთან დაიწყეს. ჰოლანდიელი ადრე „ნოტინგემ ფორესტში“ თამაშობდა და ინგლისში დაბრუნება კვლავ სურს. ვან ჰოიდონკის აგენტი რობი იანსენი სტივ ბრიუსს პირადად შეხვედრია და უთქვამს, ჩემი „კლიენტის“ გადაბირება თუ გწადიათ, კვირაში 24 ათასი გირვანქა უნდა გადაუხადოთო. ინგლისელთა პასუხი ჯერჯერობით უცნობია.

„ბირმინგემის“ პრეზიდენტი დევიდ სალივანი იტალიასაც გადასწვდა და „იუვენტუსში“ უქმად მყოფ მარსელო სალასს ეკურკურება. ჩილელი ფორვარდი ძირითად შემადგენლობას დიდი ხანია, მოსწყდა და დევიდ სალივანსაც ეიმედება, რომ ტურინელებს ფეხბურთელს დასცინცლავს: „ჩვენს გუნდს მარსელო სალასი ძალიან მოუხდება. იგი ბრწყინვალე მოთამაშეა და ყველაფერს ვიღონებთ, რომ „ბირმინგემის“ მაისურა მოვარგოთ“.

ვაჟა ხუციშვილი

პორტუგალია

I ლიგა XXXI ტური

სპორტინგი 1:1 ლეირია

0:1 ბ. კუნია (22), 1:1 ტონიტო (67)

პორტუ	31	25	4	2	67:23	79
ბენფიკა	31	21	5	5	67:26	68
სპორტინგი	31	17	7	7	48:31	58
გიმარაეში	31	14	8	9	47:39	50
ლეირია	31	12	9	10	43:40	45
ჟილ ვისენტე	31	13	5	13	40:42	44
ფერეირა	31	11	8	12	35:42	41
ბოავიშტა	31	9	12	10	30:29	39
ბელენენსეში	31	10	8	13	42:46	38
ნასიონალი	31	9	11	11	39:44	38
მარიტიმუ	31	11	5	15	32:46	38
ბრაგა	31	8	12	11	31:43	36
მორეირენსე	31	8	11	12	38:41	35
ვარზიმი	31	10	5	16	34:43	35
სანტა კლარა	31	7	10	14	34:49	31
აკადემიკა	31	6	12	13	32:46	30
ბეირა მარი	31	7	9	15	35:50	30
სეტუბალი	31	5	11	15	33:47	26

შვედეთი

6-ე ტური: აიკ — ჰალმსტადი 4:2; ენკოპინგი — იუტგორდენი 0:4; ლანდსკრონა — იოსტერი 2:0; სუნდსვალი — ჰამარბი 0:0; გიოტებორგი — ჰელსინგბორგი 1:2; იორეებრო — ელფსბორგი 2:1. მალმიო — *იორგრიტე (იხ. მე-2 გვერდზე)*

იუტგორდენი	6	5	0	1	17:1	15
ჰამარბი	6	4	2	0	10:4	14
აიკ	6	4	1	1	13:5	13
ჰელსინგბორგი	6	3	2	1	8:6	11
იორეებრო	6	3	1	2	8:8	10
ლანდსკრონა	6	2	3	1	7:5	9
ჰალმსტადი	6	2	1	3	9:11	7
იოსტერი	6	2	1	3	5:7	7
სუნდსვალი	6	1	3	2	6:8	6
გიოტებორგი	6	1	2	3	5:6	5
მალმიო	5	1	2	2	6:8	5
ელფსბორგი	6	1	2	3	6:13	5
იორგრიტე	5	1	1	3	6:11	4
ენკოპინგი	6	0	1	5	2:15	1

საბერძნეთი

29-ე ტური: ოლიმპიაკოსი — პანათინაიკოსი 3:0; ირაკლისი — კალითეა 2:4; არისი — იონიკოსი 2:0; ოფი — ქსანთი 2:0; პანაპაიკი — აეკ 0:2; პანიონიოსი — პროდეფტიკი 2:0; აკრატიტოსი — იანინა 3:0; ეგალეო — პაოკ 2:3

ოლიმპიაკოსი	29	20	7	2	70:20	67
პანათინაიკოსი	29	21	4	4	47:18	67
აეკ	29	20	5	4	70:27	65
პაოკ	29	16	5	8	57:35	53
პანიონიოსი	29	15	8	6	33:21	53
ირაკლისი	29	15	4	10	43:35	49
არისი	29	14	6	9	35:33	48
ოფი	29	12	8	9	39:32	44
ქსანთი	29	9	10	10	34:31	37
ეგალეო	29	7	9	13	27:43	30
პროდეფტიკი	29	7	8	14	24:37	29
აკრატიტოსი	29	7	5	17	32:59	26
კალითეა	29	5	8	16	27:46	23
იანინა	29	5	7	17	22:42	22
იონიკოსი	29	4	8	17	22:46	20
პანაჰაიკი	29	1	6	22	11:68	9

გერმანია

II ბუნდესლიგა XXXII ტური

ალენი 4:3 მაინცი

1:0 რატი (6), 2:0 ანიფი (11), 2:1 ვაილანდი (33), 2:2 ბოდოგი (49), 2:3 აუერი (53), 3:3 ცეპეკი (89), 4:3 ნიკინიო (90)

კიოლნი	32	18	11	3	62:40	65
ფრაიბურგი	32	19	7	6	53:28	64
ფიურტი	32	15	11	6	52:31	56
აინტრახტი	32	15	11	6	51:30	56
მაინცი	32	17	5	10	55:37	56
ალემანია	32	13	9	10	53:42	48
ტრირი	32	13	6	13	50:44	45
დუისბურგი	32	11	10	11	39:41	43
უნიონი	32	9	15	8	35:47	42
ლიუბეკი	32	12	5	15	47:44	41
ბურგჰაუზენი	32	9	13	10	44:39	40
ობერჰაუზენი	32	10	7	15	37:44	37
კარლსრუე	32	8	12	12	32:43	36
როიტლინგენი	32	10	6	16	35:47	36
ალენი	32	9	7	16	44:59	34
ბრაუნშვაიგი	32	7	10	15	31:49	31
ზტ. პაული	32	6	10	16	43:63	28
ვალდჰოფი	32	6	7	19	31:66	25

იტალია

სერია B XXXIV ტური

ტერნანა 1:1 სამპდორია

0:1 კოლომბო (48), 1:1 ძანიოლი (72)

სამპდორია	34	16	14	4	48:26	62
სიენა	34	15	15	4	39:23	60
ანკონა	34	14	12	8	48:36	54
ლეჩე	34	12	17	5	38:30	53
ვიჩენცა	34	13	12	9	51:43	51
ტერნანა	34	13	12	9	40:32	51
ტრიესტინა	33	14	8	11	46:40	50
კალიარი	34	13	11	10	42:41	50
პალერმო	34	12	13	9	39:37	49
ასკოლი	34	13	8	13	43:42	47
ლივორნო	34	11	11	12	41:36	44
ვერონა	34	10	13	11	41:39	43
ბარი	34	9	16	9	33:33	43
მესინა	34	10	13	11	46:48	43
ვენეცია	34	9	12	13	32:43	39
ნაპოლი	34	8	14	12	37:46	38
ჯენოა	34	8	12	14	43:46	36
კატანია	34	9	8	17	38:53	35
კოზენცა	34	9	6	19	26:44	33
სალერნიტანა	34	4	9	21	24:56	21

რეკლამა სარბიელ-ში

Tel: 39 40 08, 93 16 08;
Fax: 94 33 80

ლოგანოვსკის თასი

1/2 ფინალი

დინამო (უკრაინა) 2:0 ლოკომოტივი (რუსეთი)

შახტარი (უკრაინა) 0:0(პენ.5:4) ცსკა (რუსეთი)

მატჩი III ადგილისთვის დღეს

ლოკომოტივი — ცსკა

ფინალი დღეს

დინამო — შახტარი

სამკურნალო გაერთიანება „ლიგა“

დახმარება მსოფლიო სტანდარტების დონეზე

სექსოპათოლოგიის კლინიკა

- ერექციის ხარისხის გაუმჯობესება;
- სქესობრივი აქტის გახანგრძლივება;
- წარუმატებლობის მოლოდინის შიშის მოხსნა;
- სექსუალური ცხოვრების აღდგენა შემდეგი დაავადებების ფონზე:
  პროსტატიტი, შაქრიანი დიაბეტი, ტრავმები, ინვალიდობა, გულ-სისხლძარღვთა და ნევროლოგიური დაავადებები.

ანონიმურობა დაცულია ტელ: 32 21 21

ვაქცინაციის ცენტრი

- ფართო სპექტრის მომსახურება „ავენტის-პასტერის“ ვაქცინებით (საფრანგეთი-ლიონი)
  წინასწარი ჩაწერა ტელეფონით: 32-44-78

საკურნალო-დიაგნოსტიკური გაერთიანება „ლიგა“
თბილისი 380086, ვაჟა-ფშაველას გამზ. 83/11, ტელ: 32 21 21; 32 21 15





ლეს ფერდინანდი და პაოლო დი კანიო

ჩაქუჩი დასარტყმელად ემზადება
ერთი, ორი, სამი, გაყიდულია?

პირდაპირ ვთქვათ: „ვესტ ჰემის“ გავარდნის შემდეგ მის ფეხბურთელებს ბარე ორმა კლუბმა დაადგა თვალი. მეკარე დევიდ ჯეიმსი „მანჩესტერ სიტის“ სურს, ჯო კოულს „ევერტონი“ ელაქუცება, ჯერმენ დეფოს ჩემპიონ „მანჩესტერ იუნაიტედში“ ეპატიჟებიან, ფრედერიკ კანოს კი „ფულემი“ იწვევს. ამათ გარდა პაოლო დი კანიოს და ლეს ფერდინანდს კონტრაქტის ვადა გაუვიდათ.

„ვესტ ჰემში“ ამბობენ, ფეხბურთელების გაყიდვა არ გვსურსო, მაგრამ საქმეში ჩახედული ხალხი ირწმუნება, სურვილი სურვილად და ფეხბურთელთა გასხვისება უთუოდ მოუწევთო. ერთი, რომ წასვლის მოსურნე კაცს ძალით ძნელად თუ დააკავებენო და მეორეც ის, რომ გავარდნილი „ვესტ ჰემის“ ბიუჯეტი 15-20 მილიონი გირვანქით შემცირდება და ამ ფულის ამოსაღებად მაინც გაყიდიან რამდენიმე მოთამაშესო.

ალბათ, ეგრეც მოხდება, იქამდე კი ლეს ფერდინანდმა თქვა, სხვისი არ ვიცი და, მე ახალ კონტრაქტს გავაფორმებ „ჩაქუჩებთანო“. „უკვე 36 წლის ვარ, მალე კარიერის დასრულება მომიწევს, მაგრამ არ მინდა, გავარდნილი კაცის სახელით წავიდე ფეხბურთიდან. წინ მთელი ზაფხულია და თუ „ვესტ ჰემი“ ახალ კონტრაქტს შემომთავაზებს და მისი პირობები ჩემთვის მისაღები იქნება, დავრჩები და გუნდს პრემიერლიგაში დაბრუნებაში დავეხმარები“ — თქვა ფერდინანდმა.

მეორე კონტრაქტგათავებულმა, „ვესტ ჰემის“ კაპიტანმა და სიმბოლომ, პაოლო დი კანიომ კი ჩვეული პირდაპირობით შეუტია უფროსობას: „გავარდნას მხოლოდ ფეხბურთელებს ნუ დააბრალებენ. სეზონის განმავლობაში ბევრჯერ შეიძლებოდა რაღაცების უკეთესობისკენ შეცვლა, რაც არ გააკეთეს. ჰოდა, რა გიკვირთ, რომ გავვარდით? მოკლედ, ყველამ ერთად მაგრად ჩავისვარეთ. ერთადერთი, რაც მახარებს, ის არის, რომ საუკეთესო გულშემატკივრები გვყავს. ასეთ ქომაგობას სხვაგან ვერ ნახავთ. ისინი ვერაფრით გავახარეთ, მაგრამ მაინც ფეხზე ამდგარნი გვიკრავდნენ ტაშს“.

ირაკლი ნინიძე



„ვესტ ჰემის“ ფანთა ვაების მიზეზი გლენ როადერიცაა

გულშემატკივრის ჩანაწერები

კვირა, 16:55

შოკი

თამაში რამდენიმე წუთის წინ დამთავრდა, „ვესტ ჰემი“ პრემიერლიგიდან გავარდა. არაფერს ვგრძნობ. არც ცრემლი მომდის, არც სტადიონის დალეწვა და ჩხუბი მინდა. არაფერი. მიკვირს, ვერასდროს წარმოვიდგენდი, „ვესტ ჰემის“ გავარდნის შემდეგ სიმშვიდის შენარჩუნებას თუ შევძლებდი. თუმცა მე ხომ არასდროს მომსვლია აზრად, რომ „ვესტ ჰემი“ შეიძლებოდა გავარდნილიყო. არა, ცხადია, გულმოკლული ვარ, მაგრამ ჩემს თავს ვეუბნები, რომ ამით ცხოვრება არ დამთავრებულა და „ვესტ ჰემი“ პრემიერლიგაში ერთი წლის მერე დაბრუნდება.

კვირა, 20:30

სიფიცხე

თამაშის დამთავრებიდან რამდენიმე საათი გავიდა, უკვე რამდენიმე კათხა ლუდის დალევაც მოვასწარი. ყალბი სიმშვიდეც სადღაც გაქრა. ახლა უკვე ვფიქრობ, რომ „ვესტ ჰემის“ გავარდნაზე საშინელი რა უნდა მომხდარიყო. ჩვენი გუნდი საუკეთესოა იმათგან, ვინც ოდესმე გავარდნილა. პრემიერლიგაში უამრავი გუნდია ისეთი, „ვესტ ჰემზე“ მეტად რომ იმსახურებდა გავარდნას. მაგრამ ისინი დარჩნენ, „ვესტ ჰემი“ კი გავარდა. და სწორედ ეს პასი მაცოფებს. არადა, კარგი ფეხბურთელები გვყავს. მერე გამოვა ტელევიზორში ვიღაც მიმომხილველი და გვეტყვის, რომ გლენ როადერი დამსახურებული და საქმეზე თავგადაკლული კაცია და რომ მას უბრალოდ არ გაუმართლა. რა სისულელეა, დამსახურებული კაცი ნელსონ მანდელაცაა, მაგრამ გვინდა? ჩვენ მენეჯერი გვჭირდება.

რა კარგი იქნებოდა, როადერი თუნდაც ოქტომბერში რომ წასულიყო, ყველაზე დიდი სისულელე კი საერთოდ მისი დანიშვნა იყო.

კვირა, 23:05

დარჩით!

ახლა? კოული, კარიკი, დეფო, ჯონსონი, ისინი პატარა ბიჭები არიან და ერთი სეზონი დაბალ დივიზიონში თამაში მათ კარიერაზე ვერ იმოქმედებს. ამიტომ ისინი უნდა დარჩნენ. ხომ ვიცი, რომ მათ უყვართ „ვესტ ჰემი“. მაგრამ ახლა ათასი ვინმე წამოყოფს თავს და მათ გადაბირებას ეცდება. ეს ბიჭები კი ძალიან ახალგაზრდები არიან და ვაითუ, ცდუნებას ვერ გაუძლონ. არა, ბიჭებო, გემუდარებით, არ წახვიდეთ.

კვირა, 23:07

დეპრესია

მეც კარგი სულელი ვარ. რისი იმედი მაქვს? რომ გუნდიდან არავინ წავა? ფეხბურთელების ნახევარიც რომ შევინარჩუნოთ, მადლობა უნდა ვთქვათ. ჰო, კარგი, დარწმუნებული ვარ, ლი ბოიერი არ იტყვის, გავარდნა ფეხებზე მკიდია, ჩემი პრემია გადამიხადეთო. ნაღდად არ იტყვის, რადგან გავარდნამ ალალად გული დაწყვიტა. მაგრამ მჯეროდეს, რომ წასვლაზე არ იფიქრებს? არა.

მეორე დღეს

გაისად ვის უნდა ვეთამაშოთ? ფუ, „უიგანს“. ღმერთო, რა საშინელებაა.

დეფომ, გამიშვითო...

20 წლის ჯერმენ დეფომ ამ სეზონში ლონდონის „ვესტ ჰემის“ შემადგენლობაში 11 გოლი გაიტანა, მაგრამ გუნდი პრემიერლიგიდან გავარდა თუ არა, ხელმძღვანელებთან მივიდა და ტრანსფერი სთხოვა.



ჯერმენ დეფო

„მართალია, „ვესტ ჰემი“ მიყვარს, მაგრამ ვგრძნობ, რომ ჩემი წასვლისთვის შესაფერისი წამი მოვიდა. მე ძალიან ამბიციური ადამიანი გახლავართ და მსურს როგორც კლუბში, ასევე ნაკრებში უმაღლესი რანგის შეჯიბრებებში ვითამაშო“ — განაცხადა დეფომ.

„ვესტ ჰემმა“ კი ბრძანა, რომ სამშაბათამდე კომენტარისგან თავს შეიკავებს.

აღსანიშნავია, რომ ლონდონელებს შესაძლოა ჯო კოული და მაიკლ კარიკიც გაექცნენ, ვინაიდან ქვედა დივიზიონებს ნაკრების მწვრთნელები ნაკლებად აქცევენ ყურადღებას.

დეფო „ვესტ ჰემში“ 1999 წლის ივლისში, „ჩარლტონ ატლეტიკიდან“ მივიდა, თუმცა 2000-01 წლების სეზონში „ბორნმუთში“ ჰყავდათ გასესხებული, სადაც 29 შეხვედრაში 19 გოლი გაიტანა.

გასულ სეზონში, როდესაც „ვესტ ჰემი“ მეშვიდე ადგილზე გავიდა, ბექჰემის დის ბოიფრენდმა 14-ჯერ გაიტანა მეტოქეებს.

და, აი, სამშაბათიც დადგა და კლუბის დირექტორმა პოლ ელდრიჯმა ოფიციალური განცხადება გააკეთა:

„დიახ, ვადასტურებ, რომ დეფომ გუნდიდან გაშვება გვთხოვა. ამის გამო ძალიან ვწუხვართ. ის ახალგაზრდაა და პრემიერლიგიდან გავარდნამ მასზე მეტისმეტად მტკივნეულად იმოქმედა. ჩვენთვის სავსებით გასაგებია, გულშემატკივართა აღშფოთება დეფოს გადაწყვეტილების გამო, მაგრამ ყველას ვთხოვთ, მისდამი შემწყნარებლობა გამოიჩინოს.

ამასთანავე ვაცხადებ, რომ „ვესტ ჰემი“ თავისი ტალანტების გაყიდვას არ აპირებს და ვეცდებით, დეფო დარჩენაზე დავიყოლიოთ. ყოველ შემთხვევაში, სატრანსფერო სიაში მისი სახელი ჯერ არ ჩაგვიწერია“.

პაპუნა ძიძია

მთავარი მენეჯერი
ერთი კი არა, ბევრი

ევერტონელი დევიდ მოიესი პრემიერლიგის ყველაზე ახალგაზრდა მენეჯერია, ის 40 წლისაა. ამ დღეებში მოიესი ინგლისის წლის საუკეთესო მენეჯერად აღიარეს. დავაზუსტოთ, მოიესი საუკეთესოდ მისმავე კოლეგებმა, პრემიერლიგელმა მენეჯერმა დაასახელეს. ორმაგი წარმატებაა: თან ყველაზე ახალგაზრდა მენეჯერია, თან პირველივე სრულ პრემიერლიგურ სეზონში აღიარეს საუკეთესოდ. „ევერტონი“ მან წინა სეზონის ბოლოს ჩაიბარა. შარშან მარტში მან უოლტერ სმიტი შეცვალა.



დევიდ მოიესი

მოიესის სიხარული უფრო სრულყოფილი იქნებოდა, „ევერტონს“ უეფას თასზე რომ გაეღწია, მაგრამ ვაგლახ, ბოლო ტურში უკვე ჩემპიონ „მანჩესტერ იუნაიტედს“ გამარჯვება მოეპრიანა, „ევერტონი“ მისსავე მოედანზე დაამარცხა და უევროპოდ დატოვა.

„სიმართლე გითხრათ, გაოცებული ვარ, ამგვარ აღიარებას არ ველოდი, მით უფრო, რომ საბოლოო ცხრილში ექვსი გუნდი ჩვენს წინ აღმოჩნდა“ — თქვა მოიესმა.

ალექს ფერგიუსონი

როგორც მოგახსენეთ, მოიესი საუკეთესო მენეჯერთა გამოკითხვით გახდა, სხვა გამოკითხვით კი, რომელიც პრემიერლიგის სპონსორმა „ბარქლიქარდმა“ ჩაატარა, საუკეთესო მენეჯერობა სერ ალექს ფერგიუსონმა ირგუნა. „მანჩესტერ იუნაიტედის“ მწვრთნელი ფეხბურთის ასოციაციის, გულშემატკივრებისა და ჟურნალისტების საერთო ფავორიტია. შეგახსენებთ, რომ ფერგიუსონი ამას წინათ, ინგლისის ათწლეულის საუკეთესო მენეჯერადაც დაასახელეს.

პირველი დივიზიონის საუკეთესო მენეჯერი ჰარი რედნაპი გახდა, ვინაც „პორტსმუთი“ პრემიერლიგაში აღაზევა. მეორე დივიზიონში საუკეთესო უიგანელი პოლ ჯეველი გახდა, მესამეში კი „რექსემის“ მენეჯერი დენის სმიტი. „უიგანმაც“ და „რექსემმაც“ თითო დივიზიონით წინ წაიწიეს.



ჰარი რედნაპი

ირაკლი ნინიძე



REUTERS ბუენოს აირესიდან

სტუმარ სესარ კარინანოს გაქცევა კი უნდა, მაგრამ ბოკელებმა არ დაანებეს

ერთი ამოსუნთქვით წინ

არგენტინა

კლაუსურა

მე-12 ტური: ხიმნასია — რასინგი 0:0; სან ლორენსო — ველესი 0:2; ლანუსი — ოლდ ბოიზი 4:2; ინდეპენდიენტე — ტალიერესი 2:1; როსარიო — არსენალი 0:0; ბოკა ხუნიორსი — კოლონი 2:0; ოლიმპო — ესტუდიანტესი 2:2; ნუევა ჩიკაგო — ურაკანი 4:2; უნიონი — რივერ პლეიტი 1:1; ბანფილდი — ჩაკარიტა 2:1

თორმეტი ტურის თავზე „ბოკა ხუნიორსმა“ კლაუსურას ლიდერობა დაიბრუნა, 2:0 მოუგო „კოლონს“ გილერმო ბაროს შელოტოს აღრიანი პენალტით და კარლოს ტევესის ულამაზესი გარღვევის შემდეგ გატანილი გოლით.

ამავე ტურში და ასეთივე ანგარიშით „ველეს სარსფილდმა“ სან ლორენცოს სძლია, „რივერმა“ კი, რომელიც ორი ტურის განმავლობაში ინარჩუნებდა ლიდერობას, ორი ქულა დაკარგა „უნიონთან“ თამაშში და მესამე ადგილზე ჩამოვარდა. „ბოკა“ და „ველესი“ თითო ქულით უსწრებენ „რივერს“, „ბოკა“ კი იმით უსწრებს „ველესს“, რომ ერთი ბურთით მეტი გაუტანია.

ამასობაში კი არგენტინული გაზეთები ყურადღებით აკვირდებიან ლა პლატის „ესტუდიანტესს“, რომელიც ოცგუნდა ცხრილში მეთორმეტე ადგილზეა, მაგრამ ბუკმეიქერთა შორის გასაკვირდნთა სიაშია. „ესტუდიანტესი“ კი აღარ აგებს მას შემდეგ, რაც სათავეში კარლოს ბილარდო ჩაუდგა. ბილარდოს შვიდი წელიწადია აღარ უმუშავია მწვრთნელად, მაგრამ მშობლიური კლუბის დახმარებაზე უარი არ თქვა და ამ ტურშიაც ფრე გამოგლიჯა „ოლიმპოს“ თამაშის ბოლო წუთებზე. წინა ტურში „ესტუდიანტესმა“ „ტალიერესს“ 2:1 მოუგო და მაშინ ორივე გოლი ერნესტო ფარიასმა გაიტანა. ფარიასმა ახლაც დუბლი შეასრულა. თავიდან „ესტუდიანტესი“ იგებდა, მერე კი ოლიმპოელმა მცველმა მაურო ლასპადომ ზედიზედ ორჯერ გაუტანა სტუმრებს პენალტის ნიშნულიდან. მე-80 წუთზე ფარიასმა მაინც შეტენა ბურთი კარში.

ონორიო ბუსტოს დომეკი

ბოკა ხუნიორსი	12	9	1	2	20:8	28
ველესი	12	9	1	2	19:7	28
რივერ პლეიტი	12	8	3	1	25:9	27
როსარიო	12	6	4	2	22:14	22
რასინგი	12	5	3	4	16:13	18
ნუევა ჩიკაგო	12	5	3	4	21:19	18
ხიმნასია	12	5	3	4	17:18	18
ლანუსი	12	5	2	5	16:15	17
ოლდ ბოიზი	12	4	4	4	17:19	16
ოლიმპო	12	4	3	5	16:15	15
კოლონი	11	3	6	2	9:8	15
ესტუდიანტესი	12	4	3	5	15:16	15
უნიონი	11	3	4	4	13:12	13
სან ლორენსო	12	3	4	5	16:22	13
ინდეპენდიენტე	12	3	4	5	11:18	13
ტალიერესი	12	3	3	6	11:16	12
არსენალი	12	2	6	4	4:8	12
ბანფილდი	11	3	2	6	12:17	11
ჩაკარიტა	11	2	2	7	7:14	8
ურაკანი	12	0	3	9	10:29	3

ხურდების და ნამდვილი წვიმა
ვაჭარო, ვაჭარო!
უყვირეს ვანდერლეი ლუშენბურგოს

ბრაზილია

მე-8 ტური: გოიასი — ფლამენგო 1:1; სანტოსი — კრუზეირო 0:2; პარანა — პონტე პრეტა 3:2; კორინთიანსი — კრისიუმა 3:0; ვასკუ და გამა — ბაია 1:1; პაისანდუ — ფლუმინენსე 2:2; ატლ. მინეირო — სან პაულუ 2:2; ვიტორია — ფორტალეზა 2:1; გუარანი — ინტერნასიონალი 3:0; ატლ. პარანენსე — ჟუვენტუდე 2:0; ფიგეირენსე — სან კაეტანო 3:0; გრემიო — კურიტიბა 1:0

„კრუზეიროს“ იანვრიდან არ წაუგია რაგინდარა შეჯიბრებაში. მეტიც, „კრუზეირო“ იგებს, იგებს და ბრაზილიის ჩემპიონატის მერვე ტურში გადაუსწრო კიდეც ორტურიან ლიდერ „ინტერნასიონალს“, რომელსაც 2 ქულა სასამართლო წესით მიუმატეს ორი კვირის წინ. ამჯერად „ინტერნასიონალმა“ 0:3 წააგო „გუარანისთან“ და 32 თამაშის წაუგებლად გამვლელ მდევარს შანსი მიეცა.

ამ ტურში დიდი თამაში იყო: „კრუზეირო“ ესტუმრა ჩემპიონ „სანტოსს“ და 2:0 მოუგო, სტუმართა მწვრთნელი ვანდერლეი ლუშემბურგო კი ხურდა ფულის წვიმაში მოჰყვა. „ვილა ბელმიროს“ სტადიონის პუბლიკას კარგად ახსოვს, რომ ლუშემბურგომ უგულოდ მიატოვა რთულ დღეში მყოფი „სანტოსი“. მათ ისიც კარგად ახსოვთ, რომ ნაკრების მწვრთნელად ყოფნის დროს ლუშემბურგო კომერციულ შემადგენლობას გამოიყენანდა ხოლმე, რის გამოც საქმე სასამართლომდე მივიდა, მათ ისიც იციან, რომ ამ მწვრთნელს ოქროს სამკაულები უყვარს. ამიტომ ხურდა არავის დანანებია. შეძახილის: „ვაჭარო, ვაჭარო“, ხურდების წვიმა მოჰ ყვებოდა ხოლმე.

ლუშემბურგომ ამ წვიმას იოლად გაუძლო: კოლუმბიელმა ვიტორ უგო არისელასაბალმა (რვა თამაშში მერვე) და მოტამ მეორე ტაიმში თითო გოლი გაუტანეს ჩემპიონს და კვლავაც დაუმარცხებელნი დარჩნენ.

„სირცხვილია, როცა ასეთ დიდ გუნდს ასეთი სულმდაბალი გულშემატკივრები ჰყავს“ — თქვა ლუშემბურგომ.

„სანტოსი“ კი სულაც არ არის ცუდ დღეში — საერთო ცხრილში მესამეა, ლიბერტადორესის თასზე კი მეოთხედფინალში გავიდა. აქვე შეგახსენებთ, რომ ბრაზილიის ჩემპიონატში გუნდები თითოჯერ ხვდებიან ერთმანეთს, რვა საუკეთესო კი პლეიოფში აგრძელებს ბრძოლას ჩემპიონობისთვის.

„ვასკუ და გამამ“ ზარ-ზეიმით აღნიშნა გუნდში ედმუნდოს დაბრუნება, თუმცა „ბაიასთან“ მაინც ფრეს დასჯერდა. ედმუნდო-მხეცი, ვინც ექვსი წლის წინათ თავისი 28 გოლით „ვასკუ“ გაჩემპიონა, დღემდე სასამართლო საქმეებს აგვარებს გადასახადების დამალვის გამო და დათანხმდა, რომ ხელფასის 70 პროცენტით დავალიანებებს დაფარავს. ძველი ვარსკვლავი მთლად ფორმაში ვერაა და „ბაიას“ წინააღმდეგ მხოლოდ პირველი ტაიმი ითამაშა.

„ვასკუ და გამა“ კი ჯერჯერობით მხოლოდ მეთექვსმეტეა და ძლივს უპასუხა ბაიელი ნონატოს გოლს. საპასუხო კიდუმ გაიტანა.

ამაზონისნაპირა ქალაქ ბელემში, ტროპიკულ წვიმაში იქაურმა „პაისანდუმ“ ქულა გამოგლიჯა „ფლუმინენსეს“. გუნდებს თითო კაცი გაუძევეს უხეში თამაშისთვის. „ფლუს“ პრეზიდენტი დავიდ ფიშელი კი ყველაფერმა ერთად აღაშფოთა: „მსაჯობა საზიზღარი იყო. მოგონილი პენალტი გაგვიტანეს და კაცი ტყუილად გაგვიგდეს. აქაურმა მაყურებელმა მსაჯი დააშინა. რიოში ასეთ რამეებს არ ვკადრულობთ, მაგრამ ჩვენს ტორსიდას ვთხოვ, გაითვალისწინოს რა დღეში ჩაგვყარეს“.

„ფლუ“ კი მხოლოდ ქულით უსწრებს „ვასკუს“, თუმც, მერვე ადგილს მხოლოდ ორი ქულა აშორებს.

ლუშაუ დუ მოუშკაუ



ვანდერლეი ლუშემბურგო

კრუზეირო	8	6	2	0	25:11	20
ინტერნასიონალი	8	5	1	2	12:9	18
სანტოსი	8	4	2	2	14:7	14
ატლ. მინეირო	8	4	2	2	16:11	14
პარანა	8	4	2	2	15:10	14
ფლამენგო	8	3	4	1	12:9	13
კორინთიანსი	8	3	3	2	18:13	12
სან პაულუ	8	3	3	2	18:18	12
გუარანი	8	3	2	3	14:11	11
გრემიო	8	3	2	3	9:9	11
ვიტორია	8	3	2	3	10:12	11
ატლ. პარანენსე	8	3	1	4	13:14	10
კურიტიბა	8	3	1	4	10:11	10
სან კაეტანო	8	2	4	2	10:11	10
ფლუმინენსე	8	2	4	2	8:10	10
ვასკუ და გამა	8	2	3	3	14:16	9
პაისანდუ	8	2	3	3	17:21	9
ჟუვენტუდე	8	1	3	4	7:18	9
კრისიუმა	8	2	2	4	10:16	8
ბაია	8	2	2	4	10:14	8
ფიგეირენსე	8	1	4	3	10:11	7
პონტე პრეტა	8	2	4	2	11:13	6
გოიასი	8	1	3	4	18:19	6
ფორტალეზა	8	1	3	4	6:13	6

პარიზულ ტრანსფერსლართებში
ვინ, სად და როგორ?

ვაჰიდ ჰალილჰოჯიჩი

პსჟ-მ ლუის ფერნანდესს გაწვლილ სეზონში მონაგარი დაუწუნა და დაითხოვა. ფრანგი მწვრთნელი გუნდს ბოლო ორ ტურშიც უთავკაცებს, მერე კი თავის გზას ეწევა. ფერნანდესი იმედოვნებს, რომ სამუშაოს ესპანეთში იპოვის: „ესპანეთში, საფრანგეთისგან განსხვავებით, უკეთესი ვითარებაა — თქვა მან — წლეულს თუ არა, მომავალი წლიდან აუცილებლად პრიმერადივიზიონის ერთ-ერთ კლუბს ჩავიბარებ“. გავიხსენოთ, რომ იგი 1996-2000 წლებში ბილბაოს „ატლეტიკს“ წვრთნიდა. 1998-ში მეორე ადგილზეც გავიდა და ჩემპიონთა ლიგაც დააჭაშნიკა. ამჟამად პსჟ-ს საფრანგეთის თასის ფინალში „ოსერთან“ შეხვედრა ელის და ფერნანდესს სურს, სეზონი თასის მოგებით დაასრულოს.

მისი ადგილი პარიზული კლუბის ბოსებმა ბოსნიელ ვაჰიდ ჰალილჰოჯიჩს ოთხი წლით ანდეს. კონტრაქტის თანახმად, ბოსნიელი ყოველთვიურად 100 ათას ევროს ძიღებს. ვაჰიდ ჰალილჰოჯიჩი „რენს“ თავკაცობდა და გუნდს პირველ დივიზიონში ადგილი შეუნარჩუნა. თავის დროზე მან უსახელო „ლილი“ წამოჩიტა და ჩემპიონთა ლიგის გემოც კი გაასინჯა. უმწვრთნელოდ დარჩენილ „რენს“ სავარაუდოდ სახელოვან ბრუნო მეტიუს გადაულოცავენ, რომელმაც შარშან მსოფლიოს ჩემპიონატზე სენეგალის ნაკრები დუნიას გააცნო. ახლა ბრუნო მეტიუ საუდეთში და იქაურ „ალ-ენში“ მუშაობს. მისი კონტრაქტი მაისის ბოლოს იწურება და ფრანგი სპეციალისტი წინააღმდეგი არაა, „რენს“ უთავკაცოს: „რენი“ არცთუ ურიგო კლუბია — აღნიშნა მეტიუმ — საკმაოდ დიდი პოტენციალი აქვს და ლიგაში უკეთეს ადგილს იმსახურებს“.

ისევ ვაჰიდ ჰალილჰოჯიჩს და მის გეგმებს დავუბრუნდეთ. გასაკვირი არაა, რომ ბოსნიელი შეეცდება, პსჟ იმ ფეხბურთელებით გააძლიეროს, რომლებსაც კარგად იცნობს. ფრანგული „ლე პარიზიენის“ ცნობით, ჰალილჰოჯიჩს „ლილიდან“ ნახევარმცველების — ფერნანდო დამიკოს, სილვენ ნდიაისა და მცველ სტეფან პიშოს გადაბირება სურს. ნდიაისს და პიშოს კონტრაქტები „ლილთან“ ამ სეზონის ბოლოს იწურება, ხოლო დამიკოსი — მომავალ წელს. ამ ფეხბურთელების გარდა, „ლივერპულში“ შარშან გადაბარგებული ბრუნო შეირუს დაბრუნებასაც აპირებს. შეირუმ „ლივერპულის“ ძირითად შემადგენლობაში ადგილი ვერ დაიმკვიდრა, თან არაერთხელ უთქვამს, პსჟ-ში დიდი სიამოვნებით ვითამაშებდიო. ვაჰიდ ჰალილჰოჯიჩის თვალთახედვის არეში „რენისა“ და „სოშოს“ ფორვარდები — ფრედერიკ პიკიონი და ბრუნო პედრეტიც მოხვდნენ.

ლუის ფერნანდესი წავა, მაგრამ რას ფიქრობს პარიზელთა ჯილა, ბრაზილიელი რონალდინიო? „არ ვიცი, კარიერას სად გავაგრძელებ. მსურს, დიდ გუნდში ვითამაშო და ჯილდოები მოვიგო. პსჟ ჩემპიონთა ლიგის საგზურს დაემშვიდობა, თუმც საფრანგეთის თასის ფინალში „ოსერის“ ძლევის შემთხვევაში უეფას თასზე გავალთ. სამეულში ვერ მოვხვდით, მაგრამ პსჟ მაინც ძლიერი გუნდია“.

რონალდინიოს კლუბთან კონტრაქტი 2006 წლამდე აქვს გაფორმებული, მაგრამ პარიზიდან თუ წავიდა, პრიმერადივიზიონში თამაში ურჩევნია: „ევროპის ქვეყნების ჩემპიონატების დონე შეადარე და ესპანეთმა მეტად მომხიბლა. გაცილებით ტექნიკურ ფეხბურთს ქადაგებენ, მეტი თავისუფლებაა და ბურთთან ურთიერთობაც უფრო იოლია. არ მინდა, ჩემი ნათქვამი ისე გაიგონ, თითქოს შემოდგომიდან უეჭველად პრიმერადივიზიონის რომელიმე გუნდში გადავიხვეწები. მე მხოლოდ ესპანური საკლუბო ფეხბურთი შევაქე“.

ვაჟა ხუციშვილი

ბაჰჩეს ნაკოკაინარი მებაღე
დაუმი საზღვარზე დაიჭირეს

„ფენერბაჰჩე“ მწვრთნელს ეძებდა და ავსტრიაში მიაგნო. თითქმის გადაწყვეტილია, რომ კრისტოფ დაუმი სტამბოლურ გუნდს ჩაიბარებს. გერმანელი სპეციალისტის თავკაცობით ვენის „აუსტრია“ ქვეყნის ჩემპიონი გახდა და იგი ავსტრიელებთან კონტრაქტის გაგრძელებას აღარ აპირებს.

დაუმს სტამბოლში ადრე „ბეშიქთაშში“ უმუშავია და „ფენერის“ ბოსების აზრით, გერმანელს თურქეთში ადაპტაცია არ გაუჭირდება. არჩევანი მასზე სწორედ ამიტომაც შეაჩერეს.

კრისტოფ დაუმს თურქები ზალცბურგში შეხვდნენ, სადაც „აუსტრია“ „ზალცბურგთან“ თასის ფინალში სათამაშოდ გუშინწინ ჩავიდა. „ფენერბაჰჩეს“ პრეზიდენტი აზიზ ილდირიმი ავსტრიაში საკუთარი თვითმფრინავით ჩაბრძანდა. გერმანია-ავსტრიის საზღვარზე, ბერშდესგადენში, სასტუმროში მაგიდას მიუსხდნენ და იჭუკჭუკეს. აზიზ ილდირიმმა კრისტოფ დაუმის მოთხოვნებს ყურადღებით მოუსმინა და შეპირდა, რომ მომავალ სეზონში გუნდის გასაძლიერებლად ფულს არ დაიშურებს. გერმანელიც დაყაბულდა და სავარაუდოდ კონტრაქტზე ხელს ხვალ მოაწერს.

რომან თურქია

...და ან ცაზე ვარსკვლავები

იოჰან კრუიფი



1974 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალი: პირველ წუთზე ული ჰოინესმა საჯარიმოში იოჰან კრუიფი წააქცია

არასოდეს დადგება დღე, როდესაც იკითხავენ, ვინ არის ეს კაცი

„ჰუის დე ორანიე" — ამ ჰოლანდიურ სიტყვებს რომ ვწერთ, საქართველოში რუსული ენის ფაქტორსაც ვითვალისწინებთ, თორემ სინამდვილეში ის ჰუის ცოტა სხვაგვარად ჟღერს. თუმცა, ამას მნიშვნელობას ნუ მივანიჭებთ, რადგან წერილში ლინგვისტურ საკითხებს ნაკლებად მიმოვიხილავთ. „ჰუის დე ორანიე" ჰოლანდიურად ნარინჯისფერ სახლს თუ ნარინჯისფერთა სახლს ნიშნავს — ასე ერქვა სატელევიზიო გადაცემას, რომელიც ნიდერლანდის სამეფოს ტელევიზიით ევრო 2000-ის დღეებში დილაობით გადიოდა ეთერში. ეს გახლდათ ტოკ-შოუ ჩვეულებრივი სტუდიით, რომლის დარბაზშიც მსუბუქად, მაგრამ ლამაზად გაწყობილ მაგიდებს ოთხ-ოთხი ნარინჯისფერმაისურიანი ადამიანი მიუჯდებოდა, ხოლო საგანგებო, შემაღლებულ ადგილას პატივსაცემ სტუმარს ან სტუმრებს სხამდნენ. სტუმართა შორის ერთ-ორჯერ ის ჰოლანდიელი ფეხბურთელებიც ბრძანდებოდნენ, რომლებიც, თუ გახსოვთ, ჩემპიონატში ნახევარფინალამდე მივიდნენ.

ერთ დღეს „ჰუის დე ორანიეს" სტუმარი იოჰან კრუიფი გახლდათ — ცხადია მარტო. აბა, კრუიფს გვერდით ვის მიუსვამდნენ?! იგი, ჩვეულებისამებრ ძალიან ჭკვიანურად და საინტერესოდ საუბრობდა შეჯიბრების ტენდენციებსა და სხვა საფეხბურთო საკითხებზე. თუმც ეს ტოკ-შოუ მხოლოდ სერიოზული თემებისთვის არ გახლდათ მოგონილი და შიგადაშიგ განსჯას სიმღერა ან ღლაბუცი ენაცვლებოდა. ერთი სიტყვით, კრუიფიან გადაცემაში სიმღერის დრო რომ დადგა, ნარინჯისფერმაისურიანმა წამყვანმა თეთრკოსტუმიან ფრანგ მომღერალს უხმო. მომღერალმა, რომლის გვარ-სახელიც გვაპატიეთ და არ გვახსოვს, სიმღერის დაწყებამდე სტუმარს მიმართა. მან უთხრა, რომ ისინი მსოფლიოს 1998 წლის ჩემპიონატზეც შეხვდნენ ერთმანეთს, ოღონდ ბატონ კრუიფს, ალბათ, იგი აღარ ახსოვს და რომ ის, ბატონი კრუიფი, მისი რწმენით მსოფლიოს ყველა დროის საუკეთესო ფეხბურთელია.

შეჩერდი წამო! იმ მომენტში თქვენ ჰენდრიკუს იოჰანეს კრუიფის სახე უნდა გენახათ. ეს არ გახლდათ თავაზიანი ან რაიმენაირი ღიმილი ქათინაურზე, ეს სხვა იყო, რასაც ვერ აღწერ.

და მართლაც, ძალიან ბევრის აზრით, მსოფლიოს ყველა დროის საუკეთესო ფეხბურთელი ის გახლდათ!

„არა მგონია, ოდესმე დადგეს დღე, როდესაც კრუიფს ახსენებთ და ვინმე იკითხავს, ეგ ვინ არისო".

„შეცდომამდე იმას ვაკეთებ, რომ ამ შეცდომას არ ვუშვებ".

ეს ორი გამონათქვამი იოჰან კრუიფს ეკუთვნის და ისინი ოცდაათი წლის წინ მოისმინა ხალხმა. მაშინ კრუიფი დაახლოებით ოცდახუთი წლისა გახლდათ და ამსტერდამის „აიაქსს" კაპიტნობდა, სანამ... გუნდის კრებაზე ცამეტი ხმით სამის წინააღმდეგ ფეხბურთელებმა იგი არ გადაირჩიეს.

საოცარია, ის უკიდურესად პატიოსანი და ნიჭიერი კაცია. როდესაც ჰოლანდიურად მეტყველებს, უხეშ გრამატიკულ შეცდომებს უშვებს, იმდენად, რომ რამდენიმე ლინგვისტურმა ჟურნალმა მისი ნათქვამების მიმოხილვას და ანალიზს სტატიებიც კი მიუძღვნა, მაგრამ იმავდროულად მონოლოგებით გახდა ცნობილი — კრუიფის საუბრები ფურცელზე გადაიტანეს და წიგნად აკინძეს. ეს წიგნი, ჰოლანდიაში, სამწვრთნელო სემინარების დროს გამოიყენება.

„ესსეები საცოდავი ფორმით" — ასე უწოდა ხსენებულ მონოლოგებს მავანმა, სახელმოხვეჭილმა ლიტერატურულმა კრიტიკოსმა.

თუმცა, რას გადავეკიდეთ ამ გრამატიკას? ბოლოს და ბოლოს ვისზე ვლაპარაკობთ?

ვისზე და ადამიანზე, რომელიც ამსტერდამს მეორე მსოფლიო ომის დამთავრებიდან ორი წლის შემდეგ, 1947 წლის 25 აპრილს მოევლინა და ბავშვობიდან „აიაქსის" სტადიონზე ამოჰყო თავი — დედამისი იქ სასმელების დამტარებლად მუშაობდა. მამა თორმეტი წლისას გარდაეცვალა, ინფარქტმა იმსხვერპლა. დაობლებულმა ბიჭმა მარტივად და მტკიცედ გადაწყვიტა გაჰყოლოდა იმ საქმეს, რომელსაც პატარაობიდან ადევნებდა თვალს და ცამეტი წლის რომ შესრულდა, სკოლას თავი დაანება, ფეხბურთზე ფიქრში ხელს მიშლისო. საბრალო დედა სრულ კომშარში აღმოჩნდა.

მაგრამ რჩეულებს განგება პატრონობს — ლეგენდარულმა მწვრთნელმა, რინუს მიხელსმა იმთავითვე დაადგა თვალი გამხდარ, სუსტ ბიჭს. მიხელსმა კრუიფს ვარჯიშთა საგანგებო პროგრამა შეურჩია, ბურთი ბურთად და ბავშვის გაკაცება იყო საჭირო. 1966 წელს, 19 წლის გაკაცებულმა ყმაწვილმა „აიაქსის" დიდ გუნდში ითამაშა და ჰოლანდიის ჩემპიონი გახდა. ცნობისთვის: ეს ტიტული მან კიდევ რვაჯერ მოიპოვა.

ახლა, რომ დავიწყოთ იმის აღწერა, თუ როგორ თამაშობდა იოჰან კრუიფი, სწორი არ იქნება. ვისაც ის უნახავს, აღწერა არ სჭირდება, ხოლო ვისაც არ უნახავს, ზეპირად ძნელად დაუხატავ მის სტილსა და მოძრაობებს. თუ აინტერესებს კასეტები უნდა შეიძინოს. ერთს კი ვიტყვით, რომ მის მრავალ გენიალურ თვისებათაგან ერთ-ერთი უმთავრესი დროული და მოზომილი პასი გახლდათ.

ორანიეს შემადგენლობაში, ანუ ნაკრებში კრუიფმა 48 თამაში ჩაატარა. პირველად ეს 1966 წლის სექტემბერში, უნგრეთთან შეხვედრაში მოხდა, ბოლოს კი 1978 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევში — საკუთრივ ჩემპიონატზე კი ახირების გამო არ წავიდა. ის კი არა, შესარჩევშიც მხოლოდ საგანგებო, მნიშვნელოვან შეხვედრებში უბედავდნენ გამოძახებას.

წესით, ახლა, რაკილა კრუიფის სანაკრებო კარიერაზე დავიწყეთ საუბარი, 1974 წლის მსოფლიო ჩემპიონატი და გფრ-სთან წაგებული ფინალი უნდა გავიხსენოთ. ამასთან, უნდა ვახსენოთ მაშინდელი ჰოლანდიური სენსაცია, „ტოტალური ფეხბურთი" და ასე შემდეგ, მაგრამ წერილი ხომ რაღაც სხვანაირად წაგვივიდა და...

1971-73 წლებში კრუიფმა და „აიაქსმა" ზედიზედ სამჯერ მოიგეს ევროპის ჩემპიონთა თასი, დღეს ლიგა რომ ჰქვია, ხოლო 73-ში ის „ბარსელონაში" წავიდა.

1978 წელს კრუიფმა გამოაცხადა, რომ ფეხბურთიდან მიდის და 1984 წლამდე განაგრძო თამაში. ამ პერიოდში მოიარა აშშ-ს პროფესიული ლიგა, ესპანური „ლევანტე", ისევ „აიაქსი", საიდანაც ამსტერდამის მთავარი მოქიშპის, როტერდამის „ფეიენოორდის" ბანაკში გადაბარგდა და დიდებული ფეხბურთი ითამაშა. 83-ში და 84-ში იგი ჰოლანდიის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს.

მწვრთნელობაზე: ჯერ კიდევ 1980 წელს მოხდა ასეთი რამ — კრუიფი ამერიკაში თამაშობდა. მაგრამ ვინაიდან იქ არდადეგები იყო, დროებით სამშობლოში გახლდათ ჩასული. ერთი სიტყვით, „აიაქსი" „ტვენტეს" ხვდებოდა და 1:3-ს აგებდა, ხოლო ის ტრიბუნაზე იჯდა... იჯდა? ერთ მშვენიერ მომენტში წამოხტა, ტრიბუნის კიბე ჩაირბინა და თვით ლეო ბეენჰაკერს გასძახა, ესა და ეს ჰქენიო. და, როგორ გგონიათ, რა მოხდა? ბეენჰაკერმა დაუჯერა, ხოლო „აიაქსმა" 5:3 მოიგო.

მოკლედ, იქ ვიყავით, კრუიფი ტექნიკურ დირექტორად რომ დანიშნეს, ეს ის პერიოდია, „აიაქსში" მაინც და მაინც რომ არ უყვართ ერთმანეთი. გაუშვეს კიდეც ჩვენი წერილის გმირი სამ წელიწადში, მაგრამ ამ დროში მან თასების თასის მოგებაც მოასწრო და ღენის ბერხკამპი, აარონ ვინტერი, ბრაიან როი და ძმები ვიჩგეები აღმოჩნდნენ — გენიოსია!

შემდეგ იყო „ბარსა", სადაც მწვრთნელობაც ანდეს და ტექნიკური დირექტორობაც. ის მივიდა და... ვინც დაინახა, ლამის ყველა გაყარა გერმანელი ვარსკვლავის, ბერნდ შუსტერის ჩათვლით.

თასების თასი, ჩემპიონთა ლიგა, ესპანეთის თასი, ესპანეთის ოთხგზის ტიტული, რომარიო, სტოიჩკოვი... ნულარ გავაგრძელებთ.

ბოლო ხუთი წელიწადია იგი იოჰან კრუიფის ფონდს და იოჰან კრუიფის საერთაშორისო უნივერსიტეტს ხელმძღვანელობს. პირველი ორგანიზაცია ღარიბ სპორტსმენებს და სპორტულ მედიცინას ეხმარება, მეორე კი გადამდგარ სპორტსმენებს ახალი ცხოვრების დაწყებაში უწყობს ხელს.

პაატუნა ძიძია

იოჰან კრუიფის მწვრთნელობისას „ბარსელონამ" უდიდეს გამარჯვებებს მიაღწია

დევიდ სიმენი

ვაი, რა უცებ გასულა?!

დევიდ სიმენი საფეხბურთო კარიერას შაბათს დაამთავრებს — იუწყება ინგლისური გაზეთი „სანი". ძეკარე, ვისაც 40 წელი სექტემბერში შეუსრულდება, ქვეყნის თასის ფინალში კიდევ ერთხელ და ალბათ უკანასკნელად დაიცავს საკუთარი გუნდის კარს.

არადა, თავად სიმენი ამას წინათ აცხადებდა, ჯერ კიდევ შემიძლია მარდად ხტომა და ეგებ ევროპის ჩემპიონატის ფინალამდეც მივაღწიოო, მაგრამ საქმე ისე წაუვიდა, კარდიფის „მილენიუმზე" გააცილებენ. ამაში „ბრალი" შვედსა და ფრანგს მიუძღვით — ინგლისის ნაკრების თავკაცმა სვენ გორან ერიკსონმა ვეტერანი მეკარე სამხრეთაფრიკული ტურნესთვის არ გამოიძახა, „არსენალის" მწვრთნელმა არსენ ვენგერმა კი მისთვის კონტრაქტის გაგრძელების სურვილი არ გამოთქვა.

„ძე რომ დარწმუნებული ვიყო, რომ ლევიდი მომავალ სეზონსაც „არსენალში" გაატარებს, უეჭველად მივიწვევდი ნაკრებში, მაგრამ ამის გარანტიას ვერსად ვხედავ" — თქვა ერიკსონმა და ეროვნული გუნდის ნომერ პირველ დარაჯად 32 წლის დევიდ ჯეიმსი დასახელა, შემცვლელად კი 23 წლის პოლ რობინსონი. შვედისავე თქმით, სიმენი დიდი კაცი და დიდი პროფესიონალია, მაგრამ აღრე თუ გვიან, მოთამაშის კარიერასთან დამშვიდობება ყველას უწევს.

სიმენი გაწბილებულია, თუმცა ვენგერთან ურთიერთობის გარკვევას არ აპირებს. აკი თავადვე თქვა, „არსენალში" იმ შემთხვევაში ვითამაშებ, თუ ნაკრების მეკარეც ვიქნებიო.

მოსალოდნელია, რომ ათასზე მეტი საკლუბო და 75 სანაკრებო მატჩისას მიღებულ გამოცდილებას დევიდი ისევ „არსენალს" მოახმარს, ოღონდ აწ უკვე მეკარეთა მწვრთნელის თანამდებობაზე.

საინტერესოა, რომ სიმენმა ეროვნული გუნდის კარი პირველად 14 წლის წინ, 1988 წლის ნოემბერში დაიცვა საუდის არაბეთთან ამხანაგურ შეხვედრაში.

გიგა კოგანიძე

ვიალი ქვევით იყურება



„სპუალრა აძურას" ყოფილი ფორვარდი და ლონდონის „ჩელსის" მწვრთნელი, ჯანლუკა ვიალი ამბობს, რომ სიამოვნებით ჩაუდგება სათავეში რომელიმე იტალიურ გუნდს, თუნდაც ქვედა ლიგაში მოთამაშეს. მოგეხსენებათ, რაც ინგლისიდან, კერძოდ კი პირველი დივიზიონის „უოტფორდიდან" წავიდა, ვიალის არსად უმუშავია. ამბობდნენ, რომ მისით რამდენიმე კლუბი იყო დაინტერესებული, მაგრამ ვინაიდან სამწვრთნელო სერტიფიკატი არ აქვს, იტალიაში ძნელად თუ მოეწყობა თანამდებობაზე.

მდგომარეობის გამოსასწორებლად ვიალი სასწავლებელში სიარულს აპირებს. ნოემბრიდან იგი საფეხბურთო კურსებზე ივლის და დიპლომს მიიღებს, რითაც თავიდან აირიდებს „ლაციოს" მწვრთნელის, რობერტო მანჩინის გარშემო ატეხილი აურზაურის მაგვარ უსიამოვნებას — მანჩინი, თავის დროზე, „ფიორენტინას" უდიპლომოდ ჩაუდგა სათავეში.

„მსურს მწვრთნელად ვიმუშაო და არც მანჩინის მსგავსად ხმაური გამოვიწვიო. ამიტომ, ნოემბრიდან კოვერჩანოს სკოლაში ვივლი — ამბობს ყოფილი იუვენტუსელი და დასძენს — მართალია, ჯერჯერობით ჩემთვის სამუშაო არავის შემოუთავაზებია, მაგრამ ნებისმიერი ქვედალიგელი, ოღონდ ამბიციური გუნდის წინადადებას დიდი ინტერესით შევისწავლი. ჩემთვის მთავარია გუნდს, რომელიც შემეხმიანება, სერიოზული გეგმა ჰქონდეს. ინგლისის ქვედა დივიზიონი თუ არ ვითაკილე, იტალიისა რად უნდა ვითაკილო? ლამანშს გაღმა გარკვეული ცოდნა დავაგროვე და ახლა მინდა ეს ცოდნა შევამოწმო".

ვიალიმ ფეხბურთელის კარიერა „ჩელსიში" დაასრულა და 1998 წლის თებერვლიდან იქვე დარჩა მწვრთნელად. ლონდონური კლუბის ხელმძღვანელად მან ორწელიწადნახევარი დაჰყო. ამ ხნის განმავლობაში „ჩელსიმ" მოიპოვა ქვეყნის ფეხბურთის ასოციაციისა და ლიგის თასები, აგრეთვე ევროპის თასების მფლობელთა თასი. 2001-02 წლების სეზონში კი ვიალიმ „უოტფორდში" გადაინაცვლა.

პაპუნა კედია

და ბოლოს ინგლისი



გაბრიელ ბატისტუტა

„ინტერის" თავდამსხმელი გაბრიელ ბატისტუტა ამბობს, რომ კარიერის ბოლოს ინგლისში გაბურთავებაზე არ იტყოდა უარს.

„ორმა თუ სამმა ინგლისურმა და იტალიურმა კლუბმა შემომთავაზა მათთან გადასვლა, ამ ორ ქვეყანას შორის კი ვგონებ, უფრო ინგლისს ავირჩევ. ამწუთას ყველაფერს ვაანალიზებ და სავარაუდოდ ორ კვირაში ვიტყვი პასუხს, თუმცა ახლავე შემიძლია განვაცხადო, რომ ინგლისში თამაშის სურვილი ჩემს ანალიზს სერიოზულ დაღს დასვამს" — განაცხადა 34 წლის ბატიგოლმა, რომელმაც არგენტინის ნაკრების შემადგენლობაში, 78 შეხვედრა ჩაატარა და 56 გოლი გაიტანა.

რაც შეეხება იმ ორი თუ სამი კლუბის სახელწოდებას, ბატისტუტა მათ დასახელებას ერიდება, ვინაიდან „ინტერს" სეზონის ბოლო, უმწვავესი ფაზა უდგას და ასეთ დროს კლუბის განწყობილებაში დისონანსის შეტანა არ უნდა.

„ვგრძნობ, რომ ღღეგანდელ დონეზე კიდევ ორი წელიწადი შევძლებ თამაშს. ასე რომ, ჩემი გამოყენების მსურველთ შეუძლიათ ორწლიანი გეგმები დაწყონ".

პაპუნა კედია

სიახლე საქართველოში!

35 000 ნახატი, ნომრები სპორტულ მაისურებზე, წარწერები, აირჩიეთ და დაიხატეთ თქვენს და ჩვენს სამოსზე

გთავაზობთ უცხოური წარმოების სხვადასხვა მოდელის, ფერის და ზომის მაისურებს მრავალნაირი აპლიკაციით, საცალო და საბითუმო ფასებში

სარო-არტპრინტი

ვაჟა ფშაველას 91 ტელ: 53-76-82 899 56-18-49

ლევერკუზენი ნიურნბერგიდან გაგდებულს ჩაებარეს

„ლევერკუზენი" ბოლოს ჰამბურგში შერცხვა 1:4 და გუნდის დროებითი დამრიგებელი თომას ჰიორსტერი პოსტიდან გადადგა — ლევერკუზენელებს „ნიურნბერგიდან" გაგდებული კლაუს აუგენტალერი გაწვრთნის.

ჰიორსტერმა ლევერკუზენის „ბაიერ"-ის თავკაცად 86 დღე გაძლო, აუგენტალერი კი „ნიურნბერგიდან" 30 აპრილს დაიფრინა.

„ფეხბურთელობისას ისეთი ვიყავი, რომ არასდროს ვნებდებოდი. ახლა ორი მატჩი გვაქვს სათამაშო, რომელთა მოყომარება სავსებით შესაძლებელია" — ორიგინალური გახლდათ „ლევერკუზენის" ახალთახალი მთავარი მწვრთნელი.

ბუნდესლიგის დამთავრებას ორი ტური უკლია, ხოლო „ლევერკუზენი" მე-16 ადგილზეა, რომელსაც „გლადბახი" ოდენ ქულით უსწრებს. თუ „ლევერკუზენი" ერთი საფეხურით მაინც აიწევა, გავარდნას გადარჩება — ამას მოითხოვენ აუგენტალერისგანაც.

ერთი სიტყვით, „ლევერკუზენმა" მიმდინარე სეზონში მეორედ გამოიცვალა მწვრთნელი — ჰიორსტერმა კლაუს ტოპმოელერი 16 თებერვალს შეცვალა.

24 წელია, რაც „ლევერკუზენი" გერმანიის უმაღლესი ლიგიდან არ გავარდნილა — კლაუსისგან სანტ კლაუსობას ელიან.

დავით თავგართიელაძე

კლაუს აუგენტალერი



ბადრი ჯეთილაძის ფოტო

ალექსანდრ შტელინი

ორი სიმართლე: შტელინი და ტორპედო

რატომ გაეყარა უკრაინელი ქუთაისს

გუშინ „ტორპედოში" თითქმის ერთწლიანი უკრაინული ხანა დასრულდა. მაშინ, როცა ჩემპიონატის დასრულებამდე სამი ტურია დარჩენილი და ქუთაისურ კლუბს პირველობის შანსი ისევ შერჩენია, გუნდის თავკაცმა ალექსანდრ შტელინმა წასვლა გადაწყვიტა.

„ტორპედომ" მწვრთნელი გაუშვა თუ თავად შტელინმა არჩია, აქაურობას გასცლოდა? სიმართლესთან უფრო ახლოს მეორე ვერსია უნდა იყოს, რადგანაც უკრაინელი მწვრთნელი ქუთაისიდან ერთხელ უკვე გაიქცა და ეს დაახლოებით ერთი თვის წინ მოხდა. მაშინ ამბობდნენ, შტელინმა კლუბში გაბატონებული ფინანსური პრობლემები ვერ აიტანაო. უკრაინელი კლუბის ხელმძღვანელობამ გუნდში კი დააბრუნა, მაგრამ ფაქტია, შტელინმა ქუთაისში დიდხანს ვეღარ გაძლო.

თუ კლუბის თავკაცებს ვერწმუნებით, მაშინ შტელინი ცუდი შედეგების გამო თავად ხელმძღვანელობას გაუთავისუფლებია. მათივე თქმით, „ტორპედოს" სეზონის ბოლომდე უკრაინელისვე თანაშემწე და გუნდის სამზარეულოში კარგად ჩახედილი სოსო ფრუიძე გაწვრთნის.

„სან სანიჩი" კი დღეს თბილისიდან სამშობლოში გაემგზავრა, წასვლამდე მცირე ინტერვიუზეც დაგვთანხმდა. აუგი არავიზე წამოსცდენია. უეცარი წასვლა დაგროვილ პრობლემებს მიაწერა.



ბადრი ჯეთილაძის ფოტო

სოსო ფრუიძე

— გადაწყვეტილება საბოლოოა, სამწუხაროა, გუნდს უტიტულოდ რომ ვეჯერები, მაგრამ მერწმუნეთ, ჩემთვის და „ტორპედოსთვის" ასე აჯობებს.

— მოულოდნელი წასვლის მიზეზს ხომ არ გაგვიმხელთ?

— როცა ქართულ კლუბთან ხელშეკრულება გავაფორმე, მაშინ კონტრაქტში ასეთი მუხლიც ჩაიდო, რაღაც მომენტში ურთიერთშეთანხმების საფუძველზე შეიძლებოდა, ჩვენი კონტრაქტი შეწყვეტილიყო. ზუსტად ის მომენტი ახლა მოახლოვდა. კლუბის თავკაცებს უკვე მოველაპარაკე, ყველაფერზე შევთანხმდით და ორივე მხარის თანხმობით ჩემსა და „ტორპედოს" შორის არსებული ხელშეკრულება გაუქმებულია.

— ხსენებული კონტრაქტის იმ პუნქტს არ დაგვიკონკრეტებთ?

— ის პირადი კონტრაქტი იყო, ამიტომ უმჯობესი იქნება, თუ მასზე არ ვილაპარაკებთ. მით უფრო, რომ ხელშეკრულება უკვე არ არსებობს და არარსებულზე ლაპარაკი ცოტა უხერხულია.

— იქნებ შტელინის ნაჩქარევი წასვლის მიზეზი „ტორპედოს" ფინანსურ პრობლემებში უნდა ვეძებოთ?

— ფინანსურ პრობლემებს იმდენად არ შევუწუხებივარ. ეს არც იყო მთავარი მიზეზი, რადგანაც ადრე თუ გვიან „ტორპედოში" ყველა კუთვნილს იღებდა. აქ პირადი ხასიათის, ორგანიზაციულ და სხვა პრობლემებზე შეიძლება ლაპარაკი, რომლებიც საკმაოდ დაგროვდა და წასვლა გადამაწყვეტინა. კლუბის პრეზიდენტთან ყველაფერზე უკვე დეტალურად ვისაუბრეთ და ერთმანეთსაც მეგობრულად, კეთილი სურვილებით ვშორდებით.

— ევროპაში მუშაობის გარკვეული სტაჟი გაქვთ, ვინმემ უკეთეს ქვეყანაში უკეთესი პირობები ხომ არ შემოგთავაზათ?

— არა. ჩემს მომავალ სამსახურზე ჯერ არ მიფიქრია. სადღეისოდ უმუშევარი ვარ.

— კი მაგრამ, შეგეძლოთ, სამი ტურიც მოგეთმინათ, თუ ბედიც შეგეწეოდათ, არ იყო გამორიცხული, ქუთაისი ტრიუმფით დაგეტოვებინათ.

— ჩემი გადაწყვეტილების სისწორეში დარწმუნებული ვარ, სწორად მოვიქეცი. „ტორპედოს" კი სულით და გულით მხოლოდ გამარჯვებებს ვუსურვებ. მჯერა, ქუთაისური გუნდი წარმატებებს კიდევ გაიმეორებს.

მამუკა კვანტალიანი

უეფამ, ევროპული ფეხბურთის მმართველმა ორგანიზაციამ საქართველოში საკლუბო-სალიცენზიო სისტემის ამოქმედების და განვითარების პროექტი მოიწონა. ეს პროექტი, ცხადია, ფეხბურთის ფედერაციამ შეიმუშავა, უეფას შტაბბინაში ამას წინათ გაგ ზავნა და და დადებითი პასუხიც მიიღო

გასხლოვდეთ ლიცენზია!

რას ნიშნავს საკლუბო-სალიცენზიო სისტემა, რას მოიცავს იგი? გუშინდელი პრესკონფერენციის ლაიტმოტივიც ეს გახლდათ, ფეხბურთის ფედერაციის საპრესკონფერენციო დარბაზში ჟურნალისტები რომ მიგვიწვიეს.

სამწვრთნელო სალიცენზიო სისტემას ჩვენში გაიოზ დარსაძე კურირებს, რომელმაც თავიდანვე თქვა, სამწვრთნელო-სალიცენზიო სისტემა და საკლუბო-სალიცენზიო სისტემა ერთმანეთისგან განსხვავდება და უმჯობესია, არ აგვერიოსო.

მოკლედ, რას მოიცავს საკლუბო-სალიცენზიო სისტემა? მთელ რიგ კრიტერიუმებს: უპირველესად კლუბებს უნდა ჰქონდეთ გამართული ინფრასტრუქტურა, მყარი ფინანსური ბაზა და უმთავრესი, გუნდებს უნდა ჰყავდეთ აუცილებლად ლიცენზირებული მწვრთნელები.

ვის მიერ გაიცემა სერთიფიკატები? მხოლოდ და მხოლოდ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მიერ.

ახალი სეზონიდან საქართველოს ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის გუნდების ხელმძღვანელებს სწორედ საკლუბო-სალიცენზიო სისტემის დიპლომები უნდა ჰქონდეთ, წინააღმდეგ შემთხვევაში მონაწილეობა ეროვნულ პირველობებსა თუ სათასო მატჩებში გამორიცხულია.

20 მაისს სევილიაში უეფას კონვენციაზე ლიცენზირებულ მწვრთნელთა საკითხი განიხილება. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ ამ მხრივ საკმაოდ შრომატევადი სამუშაო გასწია, ჩატარდა 3 კურსი, უკვე გვყავს ოფიციალურად ლიცენზირებული 53 მწვრთნელი. უეფას კონვენციამდე ერთი დღით ადრე კი თბილისში მწვრთნელთა ლიცენზირების ახალი, მეოთხე კურსები დაიწყება.

მას შემდეგ, რაც სფფ გაერთიანდება უეფას კონვენციაში, უკლებლივ ყველა ქართველ სპეციალისტს მოუწევს ლიცენზირების გავლა.

გიორგი მაშაკიძე

კარლოსის მუხლი გადარჩა

საკვირაო „ვიტ ჯორჯია" — „დინამო" ახალი დაწყებული იყო, სტუმართა ბრაზილიელ ლეგიონერს თავში საცემად რომ გაუხდა საქმე. კარლოს და როჩა ნაადრევად, აცრემლებული ჩამოშორდა შევარდნულ მოვლენებს...

ბრაზილიელისთვის საბედისწერო მატჩის მე-9 წუთზე მას ვიტელი დავით დოლიძე აედევნა, მასპინძელმა სცადა, უცხოტომელი მეტოქისთვის ვარდნაში აერთმია ბურთი. და როჩა უხერხულად დაეცა და მუხლი იღრძო. ექიმთა ჩარევის შემდეგ დინამოელმა მოედანზე დაბრუნება სცადა, თუმცა ტკივილმა შეაწუხა და საბოლოოდ ჩაიწნა ხელი — იმედგაცრუებისგან აცრემლებულს ბურთის ნაცვლად ყინულის საფენები შერჩა ხელთ.

მატჩის შემდეგ ითქვა, რომ კარლოსი სეზონის ბოლომდე ვერ დაეხმარებოდა გუნდს, გუშინ კი სხვა რამ გაირკვა — და როჩას ტრავმა არც ისე საშიში ყოფილა. ექიმებმა საფუძვლიანად გასინჯეს დინამოელი და მუხლშესიებულ პაციენტს ორიოდ ვარჯიშის გამოტოვება ურჩიეს. კარლოსს გუშინ არ უვარჯიშია და დღესაც მოედნის გარედან მიაღევნებდა თვალყურს თანაგუნდელთა გარჯას.

ჩვენთან საუბარში ბრაზილიელმა ეს თქვა:

„ტრავმა რომ მივიღე, ვიფიქრე, ქვეყანა დამემხო თავზე. მეგონა, ფეხზე ვერ დავდგებოდი. საბედნიეროდ, არც ისე რთულადაა საქმე, დარჩენილ მატჩებში ალბათ ვითამაშებ. გული იმაზე მწყდება, რომ „ვიტ ჯორჯიასთან" პრინციპულ შეხვედრაში გუნდს ვერაფრით დავეხმარე".



ბადრი ჯეთილაძის ფოტო

პაატა კვანტალიანი

გიორგი კილასონია ელოდა და... ელადა



ბადრი ჯეთილაძის ფოტო

შარშან უმაღლესი ლიგიდან გავარდნისგან „გორდა" გიორგი კილასონიას გოლმა იხსნა

საქართველოს ეროვნული ნაკრების ყოფილი ნახევარმცველი გიორგი კილასონია ხვალ საქართველოს ტოვებს. უმცროსი კილასონია ოჯახით საბერძნეთში მიემგზავრება.

34 წლის კილასონია ბოლოს რუსთავის „გორდაში" თამაშობდა, მაგრამ მშობლიური გუნდის ამავდარ ნახევარმცველს გარჯა წყალში ჩაეყარა — „გორდაში" გია გეგუჩაძის მწვრთნელობისას უმცროსი კილასონია გუნდიდან დაითხოვეს, მას შემდეგ „გორდას" საქმეც აირია და ფეხბურთელისაც გიორგი თითქმის ერთი თვე მკურნალობდა წელის ნერვის ანთებას, მიუხედავად ამისა, კილასონია ფეხბურთს არ ჩამოშორებია, რუსთავში ერთ-ერთ საფეხბურთო სკოლაში ბავშვებს ავარჯიშებდა.

რუსთაველი ნახევარმცველი საბერძნეთში თამაშსაც აპირებს, ფეხბურთისთვის არც ისე ხნიერი ვარო, გვითხრა გამგზავრების წინ.

შეგახსენებთ, საქართველოს გარდა გიორგი კილასონიას, რუსეთის, უკრაინისა და აზერბაიჯანის ჩემპიონატებშიც უთამაშია.

პაატა კვანტალიანი



ბადრი ჯეთილაძის ფოტო

დინამო უგრეხელიძე გამოითხოვა

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ნახევარმცველ თენგიზ უგრეხელიძეს თბილისის „დინამომ" დაადგა თვალი. სულ მალე უგრეხელიძე ალბათ ივო შუშაკის განკარგულებაში იქნება. დინამოელებმა გუშინ ფეხბურთელის ტრანსფერზე მოთხოვნა გააგზავნეს უკრაინაში.

უგრეხელიძე ჯერჯერობით ტერნოპოლის „ნივას" ეკუთვნის. ამ გუნდიდან ქართველი შარშან ბელარუსში მოხვდა. „ნივამ" იჯარით გაანათხოვრა ფეხბურთელი „ტორპედო-სკა"-ში. მინსკის გუნდში უგრეხელიძე სტაბილურად თამაშობდა, მაგრამ მალე ისევ ტერნოპოლში დაბრუნდა და უკრაინის პირველი ლიგის ჩემპიონატში ჩაება.

თენგიზ უგრეხელიძემ საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების შემადგენლობაში ბოლოს მოლდოვასთან ამხანაგურ მატჩში ითამაშა შეცვლაზე. რევახ არველაძეს მისი გამოძახება ირლანდია-შვეიცარიასთანაც სურდა, მაგრამ მაშინ 20 წლის ნახევარმცველს ტრავმამ შეუშალა ხელი.

უგრეხელიძე ამჟამად ჯანზეა და თუკი ტერნოპოლელები თბილისელთა წინადადებას საქმიანად მოეკიდნენ, ტრანსფერიც გაიჩარხება.

„დინამოში" გადმოსვლის შემთხვევაში უგრეხელიძეს დებიუტი ექნება საქართველოს ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში. მას აქამდე სამშობლოში მხოლოდ რეგიონულ ლიგაში უთამაშია.

პაატა კვანტალიანი

სარგბიელის არქივიდან

იყოს 13 მაისი!

ქართულ ფეხბურთს დღე-სასწაული სჭირდება

გუშინ 13 მაისი იყო. ქართული ფეხბურთის გამარჯვების დღე. ხუთი, ათი, თექვსმეტი... რამდენი წელიც უნდა გავიდეს, ყოველი 13 მაისი ქართული ფეხბურთისა იქნება...

— ეს დღესასწაულია, ეს არანაკლებრიგი დღეა ყოველი ქართველისთვის. საქართველოს პრეზიდენტთან, პარლამენტში ეკუდიგართ წინადადებაა, რათა 13 მაისი ქართული ფეხბურთის დღად გამოცხადდეს თუ არის ნაირ-ნაირი პროფესიული დღესასწაული, მიდით, საფეხბურთოც იყოს და ეს დღე 13 მაისს აღვნიშნოთ — თქვეს ამ სალრეკლაოთ კიბიტეტის წევრებმა, რომლის ინიციატორიც არის, რომ 13 მაისი ქართული ფეხბურთის დღად გამოცხადდეს.

გუშინ ალბ „ძმოფლიო სპორტში" მარიდაც რომ ქართული ფეხბურთის დღე იყო. აქ შეეგრიბნენ 1981 წლის ტრიუმფატორები, დიუსელდორფის „რაინშტადიონზე" ნამყოფი ქართველი ქომაგები, ჟურნალისტები...

ითარ გაბელიას კი სპპატიო მისია დაეკისრა — ვიტრინის „დინამოს" საკლუბო ალბომ ჩამოხსნა და... თასების მფლობელთა თასმა სამყოფელი სწორედ ამ კაფეში დაიდო.

მერე იყო მილოცვები და ეთილი სურვილები. თენგიზ სულაქველიძემ „მსოფლიო სპორტს" ის 13-ნომრიანი მაისურა უფეშქაშა, რომლითაც საბჭოთა კავშირის ნაკრებში უთამაშია. უკვდავი „დინამო, დინამოს" შემქმნელმა კიბმოხიტორმა ვაჟა ახალაშვილმა მასპინძლებს ამ სამლერის ნოტები გადასცა და თან 1960 წელს ლეგენდარული უნგრელი ფეხბურთელის ფერენც პუშკაშის მიერ მიხელ მესხისთვის ნაჩუქარი ჰალსტუხიც დაურთო.

„დინამოს" ამჟამინდელი მწვრთნელის, ივო შუშაკის ჯერიც დადგა. მან მოიგონა „კარლ ცეისთან" ფინალი, რომელიც მას კარგად ხსომებია და ქართული ფეხბურთისთვის მსგავსი დღეების განმეორება ისურვა: ჩანთიდან კი ცნობილი ხორვატის, ზვონიმირ ბობანის მაისურა ამოიღო და კაფეს პატრონებს გადასცა, ხოლო ფეხბურთში პირველ ქართველ ოლიმპიურ ჩემპიონ გელა კეტაშვილს სეულში მისი ნაქონი მაისურის სახელმწიფო მუზეუმიდან გამოთხოვა სურს.

ბოლოს მასპინძლებმა 1981 წლის 13 მაისი გააცოცხლეს — უკვდავი მატჩი ლეგენდარული კომენტატორით და... აკრეფლებული თვალები. თითქოს პირდაპირი ეთერი იყო. გუშინდელ სალამოს ოვაცია არ დაჭკლებია.

იყოს 13 მაისი ქართული ფეხბურთის დღე!

კობა ინასარიძე

ჯერ კარლსრუე, აქრე ლუდი

მეორე ბუნდესლიგის ჩამთავრებამდე ორი ტური კი დარჩა, მაგრამ „ფრაიბურგმა" უკვე გაანადგა მომავალი სეზონისთვის პირველ ბუნდესლიგაში თამაში. ფოლკერ ფინკეს გუნდის ქართველ შემტეკ ალექსანდრე იაშვილთან საუბარი ამ წარმატების მილოცვით დავიწყეთ და მერე სხვებსაც ვისაუბრეთ.

— ძალიან გახარებული ვართ, ამ შედეგის მიღწევა ძალიან მნელი იყო, რადგან ბუნდესლიგაში დაბრუნება დაგვჭირდა მინდა და ყველანაც ფავორიტებად მიგვიჩნევდნენ — ეს თავისებური ზეწოლა იყო ჩვენთვის, ფავორიტის როლის შესრულება მართლაც რთული ყოფილა. ზოგჯერ, როცა მინიმალური ანგარიშით მოვიგებდით შეხვედრას, გვსაყვედურობდნენ „ადეკ უფრო დიდი სხვაობით რატომ ვერ მოიგო „ფრაიბურგმო".

— კვირას შინ „კარლსრუესთან" ვთამაშობთ და მატჩის დამთავრების შემდეგ ჩვენს ბუნდესლიგაში დაბრუნების აღსანიშნავად საგანგებო ზეიმი მოეწყობა ფრაიბურგის მთავარ მოედანზე და ღონისძიებას ქალაქის მერიც დაესწრება.

— ამ სეზონში უფრო საგოლე გადაცემების შესრულება მიწევდა, ვიდრე გოლების გატანა. რაც შეეხება კლუბის ფინანსურ სიტუაციას, „ფრაიბურგს" წინა სეზონში მეორე ბუნდესლიგაში დაქვეითებით და „კირხის" გაკოტრების გამო მნიშვნელოვანი პრობლემები არ შექმნია. თუმც ბუნდესლიგაში რომ ვერ დაბრუნებულიყო, მერე ალბათ გაუჭირდებოდა.

დავით თავართქილაძე

ზაზას ზეზეულად ძილი აღარ უნდა

„ფრაიბურგი" ორი ქართველის ამარა რჩება — ზაზა ხამთარაძე და კლუბი კონტრაქტს არ გაგრძელებენ და 1 ...ინის დასრულების შემდეგ ზამთარაძეს ახალ გუნდში გადასვლა მოუწევს.

ხამთარაძემ „ფრაიბურგში" თითქმის ორი წელიწადი დაჰყო, მაგრამ პირველი გუნდის ძირითადში ერთხელაც არ უთამაშია — ზაზა „ფრაიბურგის" მეორე გუნდში ბერთაღმით იცლაგდა თამაშის ფინს.

— კონტრაქტი მამთავრდება და „ფრაიბურგშიც" აღარ დავრჩები. პირველ გუნდში თამაშის შანსი არ მოუცია და არც სამომავლოდაა ამის შესაძლებლობა ისეთ ასაკში ვარ, აღარ მინდა მეორე გუნდში თამაში, ცოტა მაღალ დონეზე მსურს მოვსინჯო ძალა. ველოდები მეორე ბუნდესლიგის რამდენიმე გუნდში გადასვლის ვარიანტს, თუმც არაა გამორიცხული, სხვა ქვეყანაში წავიდე სათამაშოდ. საკმაოდ ნორმალურ ფორმაში ვარ — აქ ძალიანაც რომ არ გინდოდეს, მაინც კარგ კონდიციებში იქნები — გვითხრა ზამთარაძემ, რომელსაც ფრაიბურგში შეეეხმიანეთ.

მოკლედ, ფოლკერ ფინკეს ჩვენებურთაგან მომავალ სეზონში მხოლოდ ლევან ცქიტიშვილი და ალექსანდრე იაშვილი ეყოლება.

დავით თავართქილაძე

მუჯირი საქართველოში. შტურმით მოდის

დავით მუჯირი შესაძლოა საქართველოში სათამაშოდ დაბრუნდეს. რატომ? ეს ამბავი გრაცის „შტურმის" საამსეზონო შედეგზეა დამოკიდებული. ავსტრიულ მაქსბუნდესლიგაში მეხუთე ადგილამდე დაქვეითებული „შტურმი" მონდომებით ცდილობს სულ მცირე, საუეფასთასო მესამე საფეხურზე დამკვიდრებას, თუმც ბოლო ტურში თანაქალაქელ „გრაცერთან" 1:2 წაგებამ დავით მუჯირის გუნდს ცივი „ქართული" წყალი გადაასხა. ახლა „შტურმს" დარჩენილ სამ ტურში მართებს დანაკლისის აღმოფხვრა, რაც თავად ქართველ ნახევარმცველსაც ძალიან ეეჭვება.

ამგვარად, წერილის თავში დასმულ კითხვაზე პასუხის გაცემა არ გაგვიჭირდება, თუ გავიხსენებთ იმასაც, რომ ინტერტოტოს თასის პირველ ეტაპზე ავსტრიულ კლუბს სწორედ ქართველებთან მოუწევს დაპირისპირება. ეს ავსტრიული „ინკოგნიტო" კი, როგორც ხვდებით, ალბათ გრაცის „შტურმი" იქნება.

გუშინ დავით მუჯირს დავუკავშირდით...

— ბოლო ხანს „შტურმი" ძალიან წარუმატებლად თამაშობს. რა გჭირთ?

— მართლაც ცუდ დღეში ჩავცვივდით. არადა, დრო იყო, ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვების რეალური შანსი გვქონდა. ახლა კი მხოლოდ მეხუთე ადგილზე ვართ და რა როგორ იქნება, არ ვიცი.

— „გრაცერთან" ამ სეზონში უკვე მერამდენედ წააგეთ...

— ქალაქური დერბი ნაღდად წარუმატებელი გამოდგა ჩვენთვის ამ სეზონში. „გრაცერის" დამარცხება კი არა, ფრედ ერთხელ ძლივს ვათამაშეთ. ახლაც ძალიან გაგვიჭირდა, თუმც წასაგები თამაში მაინც არ იყო. სამწუხაროდ, ბოლო წუთზე დასანანი გოლი გავუშვით.

— მხოლოდ 21 წუთი რატომ ითამაშე?

— ტრავმა ჯერაც არ მომიშუშებია სრულად. საერთოდაც არ ველოდი, თუ ვითამაშებდი, რადგან მატჩამდე ორი დღით ადრე განვაახლე ვარჯიში, ისიც მსუბუქი დატვირთვით. მაგრამ მწვრთნელმა მითხრა, რომ შეიძლება, დამჭირდეო და სხვა გზა არ იყო. ექიმების რჩევაც გავითვალისწინეთ, გადავწყვიტეთ და, შეიძლება ითქვას, გავრისკეთ კიდეც. საბედნიეროდ, სერიოზული არაფერი მომხდარა.

— ფეხი ახლაც გაწუხებს?

— ორი ვარჯიში კიდევ გავაცდინე. სრული დატვირთვით ვარჯიში ჯერაც მიჭირს, მაგრამ იმედი მაქვს, მალე სრულად გამოვჯანმრთელდები.

— გოლის გატანა იმ 21 წუთშიც შეძელი...

— ჩემი აზრით, მნიშვნელოვანი გოლი გავიტანე. ამ ფრით ხომ უეფას თასზე გასვლის შანსი კიდევ დიდი იქნებოდა, მაგრამ, როგორც გითხარი, ბოლო წუთზე მეტოქემ მაინც გაგვიტანა და ახლა სეზონისწინა გეგმის შესრულება ძალიან გაგვიჭირდება.

— ეს მთავარ მწვრთნელ ფრანკო ფოდას მოხსნას ხომ არ გამოიწვევს?

— ალბათ, ასეც მოხდება. ყოველ შემთხვევაში, ფოდა კლუბის ხელმძღვანელობას დაჰპირდა, რომ უეფას თასზე მაინც ვითამაშებდით. ჯერჯერობით საქმე სხვაგვარად მიდის. ვნახოთ, სამი ტური კიდევ დარჩა ოა ცხრა ქულის აღებას ვგეგმავთ. თუმც სამწუხარო ისაა, რომ შეიძლება ამ ქულებმაც ვერ გვიშველოს. კონკურენტებმაც თუ არ წაიფორხილეს, ცხადია, ჩვენი მოგებები უსარგებლო იქნება.

— წლევანდელი სეზონი შენთვის საკმაოდ წარმატებული გამოდგა. 24 თამაშში 6 გოლის გატანა შეძელი და „შტურმის" ერთ-ერთ ლიდერადაც მიგიჩნევენ. ალბათ, წინადადებებსაც მიიღებდი სხვა კლუბებისგან. მით უმეტეს, სავარაუდოდ, „შტურმი" ინტერტოტოს თასზეა თუ ითამაშებს...

— სიმართლე გითხრა, სხვაგან წასვლაზე ჯერ ნაღდად არ ვფიქრობ. არანაირი კონკრეტული წინადადებაც არ მიმიღია. სეზონი დასრულდება და მერე, ალბათ, კლუბში საგანგებო კრება ჩატარდება. მწვრთნელის გარდა, ვფიქრობ, რამდენიმე მოთამაშესაც გაუშვებენ.

— ეს შენ ხომ არ შეგეხება?

— არა მგონია. ხელმძღვანელობა უფრო უკანა ხაზის ფეხბურთელებითაა უკმაყოფილო. წარმოიდგინეთ, ამ სეზონში 58 გოლი გავუშვით, რაც ლიგაში უცუდესი შედეგია.

— მეხუთე ადგილზე თუ გახვედით, ინტერტოტოს თასზე თამაშს აპირებთ?

— კი და, ალბათ, საქართველოში ჩამოსვლაც მომიწევს. ინტერტოტოს თასის პირველ ეტაპზე ხომ ავსტრიელთა მეტოქე ქართული კლუბი იქნება.

ანა ზალამბერიძე



დავით მუჯირი

სარბიელი & კროკო
წარმოგიდგენთ

გერმანია. ბუნდესლიგა. XXXIII ტური

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		17 მაისი						
18.30	001	ვოლფსბურგი-ჰერტა	2.7	3,3	2,35	1,48	1,25	1,37
18.30	002	კოტბუსი-ნიურნბერგი	2,3	3,3	2,7	1,35	1,24	1,48
18.30	003	ლევერკუზენი-მიუნხენი	1,5	3,6	5,3	1,05	1,16	2,14
18.30	004	ბოხუმი-ჰამბურგი	2,9	3,2	2,3	1,52	1,28	1,33
18.30	005	ჰანზა-არმინია	2,0	3,0	3,8	1,2	1,31	1,67
18.30	006	ჰანოვერი-მიონხენგლადბახი	2,0	2,9	4,0	1,18	1,33	1,68
18.30	007	ვერდერი-შალკე	1,9	3,3	3,6	1,2	1,24	1,72
18.30	008	ბაიერნი-შტუტგარტი	1,7	3,4	4,6	1,13	1,24	1,95
18.30	009	კაიზერსლაუტერნი-დორტმუნდი	2,9	3,0	2,4	1.47	1,31	1,33

გერმანია. რეგიონალლიგა (სამხრეთი). XXXV ტური

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		16 მაისი						
22.00	034	ბაიერნი(მ)-შვაინფურტი	1,9	3,3	3,6	1,2	1,24	1,72
		17 მაისი						
17.30	035	რეგენსბურგი-აუგსბურგი	1,8	3,3	4,0	1,16	1,24	1,8
17.30	036	ვეენი-ერფურტი	2,2	3,2	3,1	1,3	1,28	1,57
17.30	037	კიკერსი-დარმშტადი	2,0	3,2	3,5	1,23	1,27	1,67
17.30	038	ჰოფენჰაიმი-ზაარბრიუკენი	2,15	3,2	3,2	1,28	1,28	1,6
		18 მაისი						
18.00	039	კაიზერსლაუტერნი(მ)-ფულენდორფი	2,0	3,2	3,5	1,23	1,27	1,67
18.00	040	უნტერჰახინგი-ზიგენი	1,4	4,0	7,5	1,03	1,17	2,6
	041	უნტერჰახინგი-ზიგენი 0:1	1,95	3,2	2,6			

ინგლისი. I დივიზიონი. პლეი-ოფი. II მატჩები

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		14 მაისი						
23.45	042	რედინგი-ვულვერჰემპტონი	2,25	3,2	3,0	1,32	1,28	1,54
		15 მაისი						
23.45	043	შეფილდი-ნოტინგემი	1,9	3,2	3,8	1,19	1,26	1,73

ინგლისი. II დივიზიონი. პლეი-ოფი. II მატჩები

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		14 მაისი						
23.45	045	ქუინზ პარკი-ოლდემი	2,0	3,3	3,4	1,24	1,25	1,67

ინგლისი. III დივიზიონი. პლეი-ოფი. II მატჩები

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		14 მაისი						
23.45	047	სკანთორპი-ლინკოლნი	1,85	3,2	4,0	1,17	1,26	1,77

იტალია. სერია "A". XXXIII ტური

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		17 მაისი						
18.00	048	ატალანტა-კომო	1,05	4,0	8,0	1	1	2,66
18.00	049	კიევო-რომა	1,95	3,1	3,8	1,19	1,28	1,7
18.00	050	ლაციო-ბრეშა	1,3	4,4	9,0	1	1,13	2,95
18.00	051	მილანი-ბოლონია	1,3	4,4	9,0	1	1,13	2,95
18.00	052	მოდენა-ინტერი	3,2	2,5	2,5	1,4	1,4	1,25
18.00	053	პარმა-პიაჩენცა	1,25	3,6	5,0	1	1	2,09
18.00	054	პერუჯა-უდინეზე	2,25	3,2	2,0	1,32	1,05	1,23
18.00	055	რეჯინა-იუვენტუსი	2,1	3,2	2,6	1,26	1,16	1,43
18.00	056	ტორინო-ემპოლი	4,0	2,5	1,8	1,53	1,24	1,04

ესპანეთი. I დივიზიონი. XXXIV ტური

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		17 მაისი						
23.30	078	რასინგი-ატლეტიკო	2,15	3,1	3,2	1,26	1,28	1,57
00.30	079	დეპორტივო-ვალენსია	1,7	3,4	4,6	1,13	1,24	1,95
		18 მაისი						
21.00	080	სევილია-რაიო	1,6	3,5	5,3	1,09	1,22	2,1
21.00	081	ვილიარეალი-სელტა	2,4	3,0	2,9	1,33	1,31	1,47
21.00	082	ვალიადოლიდი-ესპანიოლი	2,1	3,0	3,5	1,23	1,31	1,61
21.00	083	ალავესი-ბილბაო	2,25	3,1	3,1	1,3	1,3	1,54
22.00	084	სოსიედადი-უელვა	1,4	4,0	7,5	1,03	1,17	2,6
22.30	085	რეალი-მალაგა	1,25	5,0	10,0	1	1,11	3,33
23.00	086	ოსასუნა-ბეტისი	2,2	3,2	3,1	1,3	1,28	1,57
24.00	087	ბარსელონა-მალიორკა	1,7	3,4	4,6	1,13	1,24	1,95

ესპანეთი. II დივიზიონი. XXXVI ტური

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		17 მაისი						
21.30	088	ლევანტე-კორდობა	1,6	3,1	7,0	1,05	1,3	2,14
21.30	089	ფეროლი-ალბასეტე	2,9	2,6	2,7	1,37	1,39	1,32
		18 მაისი						
14.30	090	ხეტაფე-ხერესი	2,7	2,8	2,7	1,37	1,35	1,37
15.00	091	ოვიედო-სპორტინგი	2,0	2,9	3,5	1,18	1,27	1,58
21.00	092	კომპოსტელა-ლეგანესი	2,25	2,6	3,6	1,2	1,38	1,5
21.00	093	ეიბარი-ბადახოსი	1,9	2,9	4,4	1,14	1,32	1,74
21.00	094	ტერასა-ლას პალმასი	2,4	2,6	3,3	1,24	1,38	1,45
21.00	095	ალმერია-ნუმანსია	2,0	2,6	4,6	1,13	1,39	1,66
21.30	096	მურსია-სალამანკა	1,6	3,1	7,0	1,05	1,3	2,14
22.00	097	ტენერიფე-ეხიდო	1,9	2,6	5,0	1,09	1,37	1,71
22.00	098	სარაგოსა-ელჩე	1,45	3,6	7,5	1,03	1,21	2,43

საფრანგეთი. II დივიზიონი. XXXVII ტური

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		16 მაისი						
23.00	099	ამიენი-მეცი	3,1	3,0	2,3	1,52	1,32	1,3
23.00	100	კაენი-კრეტეი	1,9	3,1	4,0	1,17	1,28	1,74
23.00	101	შატორუ-ვალანსი	1,75	3,3	4,4	1,14	1,25	1,88
23.00	102	კლერმონი-სტ-ეტიენი	2,0	2,8	4,2	1,16	1,35	1,67
23.00	103	გრენობლი-ლე მანი	3,1	2,8	2,4	1,47	1,35	1,29
23.00	104	გენიონი-ისტრი	1,85	3,1	4,2	1,15	1,28	1,78
23.00	105	ლავალი-ნიორი	1.9	3.1	4,0	1,17	1.28	1.74
23.00	106	ნანსი-ბოვე	1,8	3,3	4,0	1,16	1,24	1.8
23.00	107	რეიმსი-ტულუზა	2,6	2,8	2,8	1,34	1,34	1,39
23.00	108	ვალანსი-ლორიანი	3.1	3,0	2.3	1.52	1,32	1.3

პორტუგალია. II ლიგა. XXXII ტური

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		18 მაისი						
19.00	121	ავეში-ალვერკა	2.5	3,1	2,6	1,38	1.27	1,41
19.00	122	კოვილია-ნავალი	2,5	3,1	2,6	1,38	1,27	1,41
19.00	123	ოვარენსე-შავეში	1,9	3.1	4,0	1,17	1,28	1,74
19.00	124	რიუ ავე-ფარენსე	1.6	3,4	5,6	1,08	1,24	2.11
19.00	125	მარკუ-სალგეიროში	2,3	3,2	2.9	1,33	1.28	1,52
19.00	126	ლეცა-ამადორა	2,5	3,2	2,5	1,4	1,25	1,4
19.00	127	პენაფიელი-ლამაში	1,05	4,0	8,0	1	1	2.66
19.00	128	პორტიმონენსე-მაია	1,55	3,5	6.0	1.07	1,23	2,21
19.00	129	ფელგეირაში-მადეირა	2,0	3,2	3,5	1,23	1,27	1,67

ბელგია. I დივიზიონი. XXXIII ტური

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		17 მაისი						
23.00	155	ანდერლეხტი-ლუვენი	1,2	5,0	10,0	1	1,07	3,33
23.00	156	ლიერსი-ლოკერენი	2,2	3,3	3.0	1,32	1,26	1,57
23.00	157	მუსკრონი-ვესტერლო	1,85	3,4	3,6	1,19	1,22	1,74
23.00	158	შარლერუა-ბევერენი	1,85	3,5	3,5	1,21	1,21	1,75
23.30	159	გენკი-სტ-ტრუიდენი	1,9	3,3	3,6	1,2	1,24	1,72
		18 მაისი						
18.00	160	ბრიუგე-მეერსხოტი	1,2	5.0	10.0	1	1,07	3,33
18.00	161	გენტი-სტანდარდი	2,0	3,3	3,4	1,24	1,25	1,67

პოლონეთი. XXVI ტური

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		16 მაისი						
23.00	183	ლეხი-გროცლინი	2.8	3.0	2,45	1,44	1,3	1,34
		17 მაისი						
19.00	184	ვიძევი-ლეგია	2.8	3,1	2,4	1,47	1,29	1,35
20.00	185	პოლონია-გურნიკი	2,0	3,2	3,5	1,23	1,27	1.67
20.00	186	გარბარნია-ზაგლებე	1,9	3,3	3,6	1,2	1,24	1,72
22.00	187	ამიკა-რუხი	1,65	3,6	4,6	1,13	1,21	2,01
		18 მაისი						
20.15	188	კატოვიცე-ვისლა	3,0	2,9	2,4	1,47	1,33	1.31

თურქეთი. XXXII ტური

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		16 მაისი						
22.00	189	ტრაბზონი-გაზიანთეპი	2,0	3,2	3,5	1,23	1.27	1,67
		17 მაისი						
18.30	190	სამსუნი-ადანა	1,85	3,3	3,8	1,18	1,24	1,76
18.30	191	ბურსა-ალთაი	1.85	3,3	3,8	1,18	1,24	1,76
18.30	192	გიოზთეპე-დენიზლი	2,25	3,2	3,0	1,32	1,28	1.54
18.30	193	ისთანბულსპორი-ფენერბაჩე	3,0	3,3	2,2	1,57	1,26	1,32
18.30	194	დიარბაქირი-მალათია	2,0	3,2	3,5	1,23	1,27	1,67
21.00	195	გალათასარაი-ანკარაგუჯუ	1,45	3,8	7,0	1.04	1,2	2,46
21.00	196	გენჩლერბირლიგი-ბეშიქთაში	2,5	3,2	2,5	1,4	1.25	1,4

შოტლანდია. პრემიერლიგა. XXXVII ტური

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		14 მაისი						
23.45	197	სელტიკი-დანდი	1,15	6,0	14,0	1	1.06	4.19
	198	სელტიკი-დანდი 0:1	1,4	3,8	4,2			
		17 მაისი						
19.00	199	დანფერმლაინი-კილმარნოკი	2,4	3,3	2,6	1,38	1,24	1,45
19.00	200	ლივინგსტონი-ჰიბერნიანი	2,3	3,3	2,8	1,35	1,26	1,51
19.00	201	მაზერველი-აბერდინი	2,1	3,3	3,2	1,28	1,26	1,62
19.00	202	პარტიკი-დანდი იუნაიტედი	2,3	3,3	2,8	1,35	1,26	1,51
		18 მაისი						
19.00	203	ჰარტსი-რეინჯერსი	10.0	5,0	1,25	3,33	1,11	1

დანია. XXVIII ტური

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		17 მაისი						
20.00	204	აკადემისკე-ოდენსე	2.05	3,3	3,3	1,26	1,26	1,64
		18 მაისი						
18.00	205	ესბიერგი-კოგე	1,7	3,6	4,2	1,15	1,21	1.93
18.00	206	მიდტიულანდი-ფარუმი	2.0	3,3	3,4	1,24	1,25	1,67
18.00	207	კოპენჰაგენი-ვიბორგი	1,4	4,0	7,5	1,03	1.17	2,6
	208	კოპენჰაგენი-ვიბორგი 0:1	1.95	3,2	2,6			
18.00	209	ორჰუსი-სილკებორგი	2,05	3.3	3.3	1,26	1,26	1.64
20.35	210	ოლბორგი-ბრიონდბიუ	3.0	3,2	2,25	1.54	1.28	1,32

ავსტრია. XXXIV ტური

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		17 მაისი						
18.30	211	კერნტენი-ზალცბურგი	2.6	3,2	2,45	1,43	1,26	1,38
18.30	212	რიდი-გრაცერი	2,6	3,2	2,45	1,43	1,26	1,38

			1	X	2	1-X	1-2	X-2
18.30	213	შეფერხი-ბრედფორდი	1,55	3,6	5,6	1,08	1,21	2,19
18.30	214	ალბირა-ბაჰია	2,4	3,2	2,7	1,37	1,27	1,46
		18 მაისი						
19.30	215	ავსტრია-რაპიდი	1.7	3,4	4,6	1,13	1,24	1,95
		შვეიცარია. A ჯგუფი. XI ტური						
		16 მაისი						
23.15	216	გრასჰოპერი-ბაზელი	2,1	3,2	3,3	1,26	1,28	1,62
		17 მაისი						
22.30	217	სერვეტი-ვოლი	1,75	3,3	4,4	1,14	1,25	1,88
		18 მაისი						
19.15	218	იუნი-ციურიხი	2,0	3,2	3,5	1,23	1,27	1,67
19.15	219	ქსამაქსი-იანგ ბოიზი	2,0	3,2	3,5	1,23	1,27	1,67
		შვეიცარია. A/B ჯგუფი. XI ტური						
		17 მაისი						
20.30	220	სტ-გალენი-ვაღუცი	1,6	3,5	5,3	1,09	1,22	2,1
		18 მაისი						
17.30	221	ბრინსი-ლუცერნი	2,5	3,2	2,5	1,4	1,25	1,4
17.30	222	ლოლეტსონი-სიონი	2,2	3,1	3,2	1,28	1,3	1,57
		შვეიცარია. B ჯგუფი. XI ტური						
		17 მაისი						
20.30	223	�იორდია-ვოლენი	1,55	3,8	5,3	1,1	1,19	2,21
20.30	224	ვინტერთური-შიფბაუხენი	2,5	3,2	2,5	1,4	1,25	1,4
20.30	225	ოლერდინი-ლიზანა	2,0	3,2	3,5	1.23	1,27	1,67
22.30	226	ბელინცონა-ბალენი	2,45	3,2	2,6	1,38	1,26	1,43
		ფინეთი. I ტური						
		15 მაისი						
20.30	258	პეკ-ოიკერინენი	1,5	3,6	6,5	1,05	1,21	2,31
20.30	259	ჰაიმენლინნა-კეოპინი	2,4	3,2	2.7	1,37	1,27	1,46
20.30	260	ინტერი-ტერეკი	1,7	3,4	4,6	1,13	1,24	1,95
20.30	261	ჯაზი-იარიო	2,7	3,2	2,4	1,46	1,27	1,37
20.30	262	კიპ-შიუპა	4,0	3,3	1,8	1,8	1,24	1,16
20.30	263	ლაჰტი-ალიანსი	2,25	3,2	3,0	1,32	1,28	1,54
20.30	264	ტამპერე-ჰაკა	2,8	3,1	2,4	1.47	1.29	1,35
		ინგლისი. თასი. ფინალი. (კარდიფში)						
		17 მაისი						
19.00	275	არსენალი-ნიუკასლ-იუნაიტედი	1.55	3,5	6,0	1,07	1,23	2,21
		საფრანგეთი. თასი. ფინალი. (პარიზში)						
		17 მაისი						
23.45	276	მონაკო-ხიმინი	2,35	3,0	3,0	1,31	1,31	1,5
		საბერძნეთი. თასი. ფინალი						
		17 მაისი						
23.15	277	პაოკ-არისი	1.75	3,2	4,6	1,13	1,26	1,88
		პოლონეთი. თასი. ფინალი. II ეტაპი						
		14 მაისი						
21.00	278	პლოცკი-ვისლა	3,6	3,3	1,9	1,72	1,24	1.2
		ჩემპიონთა ლიგა. ½ ფინალი. II ეტაპი						
		14 მაისი						
23.45	282	იუვენტუსი-რეალი	2,4	3,1	2,8	1,35	1,29	1,47
		ლიბერტადორესის თასი. 1/8 ფინალი. II ეტაპი						
		14 მაისი						
05.40	285	ლორენციანი-რივერ პლეიტი	1,7	3,4	4,6	1,13	1,24	1,95
		15 მაისი						
05.40	286	პაისანდუ-ბოკა ხუნიორსი	2,05	3,3	3,3	1,26	1,26	1,64

რომელ ტაიმში ბავა მეტი გოლი

I-ში თანაბრად II-ში

14 მაისი

23.45	2502	იუვენტუსი-რეალი	3,0	2,8	2,0

შემდეგ ეტაპზე გასვლა

I-ში თანაბრად II-ში

14 მაისი

23.45	1002	იუვენტუსი-რეალი	2,6	1,35

I ტაიმის შედეგი

14 მაისი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
23.45	2002	იუვენტუსი-რეალი	2.9	2,0	3.5	1.18	1,58	1,27

რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დასრულების შემთხვევაში, ორივე შორი ზანგურად ჩაითვლება)

14 მაისი

23.45	2402	იუვენტუსი-რეალი	1,8	2,0

რამდენი გოლი ბავა მატჩში. (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

14 მაისი

23.45	2202	იუვენტუსი-რეალი	1,85	1,75

გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

			კი	არა
		14 მაისი		
23.45	2302	იუვენტუსი-რეალი	1,55	2,1

1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო			1/1	1/X	1/2	X/1	X/X	X/2	2/1	2/X	2/2
		14 მაისი									
23.45	2102	იუვენტუსი-რეალი	3.6	10.0	20,0	4,4	4,4	5,0	20,0	10,0	4,2

სარბიელი
სპორტული ლატარია
CROCO
BOOKMAKERS
კროკო

ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახლებული ქალაქების სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შეს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება.

კროკოს ბიუროთა მისამართები

თბილისი	ფურცელაძის ქუჩა №10	კინოთეატრ „რუსთაველის" შენობაში
	ალმაშენებლის გამზირი	№2 ცენტრალური ფოსტამენ
	გლდანი	I საავტო ცენტრი
	ვაჟა ფშაველას გამზირი №46	მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან" (ყოფილი „დელისი")
	ნინამძღვრიშვილის ქუჩა №200	ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში
	გურამიშვილის გამზირი №50	მეტრო „ლრმაღელესთან"
	ნარეულის გამზირი, კორპუსი №11	
	ქავქაზაძის გამზირი № 41	
	გამსახურდიას გამზირი № 3	
	ვაჟა ფშაველას გამზირი №91	
	იოანე პეტრინის ქუჩა №13	დიდი დიღომი, მეორე მიკრორაიონი
	ხუდადოვის ქუჩა №4	
	დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, 1ª კორპუსი	
	ვარკეთილი, კალოუბნის „ა" კორპუსი №48	
	მელიქიშვილის ქუჩა №15	
ქუთაისი	პუშკინის ქუჩა№16	ტელეკომპანია „იკერიონის" შენობაში
	ფალიაშვილის ქუჩა№ 27	
	ჭავჭავაძის № 67	ცენტრალური ავტოსადგური
გორი	ცხინვალის გზატკეცილი №11	ნმინდანყლის დასახლება
	სტალინის ქუჩა № 14	
თელავი	კოსტავას ქუჩა №23	
რუსთავი	მარტავას ქუჩა №7	
	კოსტავას გამზირი №23	
ბათუმი	მეგზურ აბაშიძის ქუჩა №21	ყოფილი სტალინის ქუჩა
	ერას ქუჩა №66	ყოფილი ტორის ქუჩა
	ჯავახიშვილის ქუჩა №78	
	ჭავჭავაძის ქუჩა № 113	
	ალმაშენებლის ქუჩა № 21	(საავტო ცენტრი ალამი 1)
	ჭავჭავაძის ქუჩა № 13	
ხელვაჩაური	ალმაშენებლის ქუჩა № 50	
მარნეული	რუსთაველის ქუჩა №39	
ოზურგეთი	გურიის ქუჩა №23	
გურჯაანი	დავით გურამიშვილის ქუჩა №28	
ფოთი	რკალი, რუსთაველის №18	
საგარეჯო	დავით ალმაშენებლის №30	
სამტრედია	რუსთაველის გამზირი №27	
ხაშური	რუსთაველის ქუჩა №16	
წნორი	სტალინის ქუჩა №1	
ბორჯომი	რუსთაველის ქუჩა №145	
ზესტაფონი	გრიგოლ რობაქიძის ქუჩა №6	
ახალციხე	ნათენაძის ქუჩა №7	
ქობულეთი	სასტუმრო „ივერიის" მიმდებარე ტერიტორია	
სარფი	საბაჟო პუნქტის პირდაპირ	

სამ თბილისურ ბიშროში

პონსტანტინე გამსახურდიას
გამზირი № 3;

ვაჟა ფშაველას გამზირი №46
(მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან", ყოფილი „დელისი");

დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის
გამზირი, 1ª კორპუსი

კროკომ უქმეებზე სამუშაო დრო
გაახანგრძლივა

შაბათი 12.00–21.30
კვირა 12.00–20.30

კოეფიციენტების შესაძლო
ცვლილებები ადგილზე დაზუსტეთ

პატრიარქის 80 მსოფლიო სპორტში შესულ ოთარ ქორქიას ოთარ ქორქია დახვდა

ოთარ ქორქია „მსოფლიო სპორტში“ დასთან და მეუღლესთან ერთად მოვიდა

ოთარ ქორქიამ მსოფლიოს სპორტში თავის დაბადების დღეს, 10 მაისს შეაბიჯა, როცა ოთხმოცისა გახდა. ვგულისხმობთ თბილისის კაფე „მსოფლიო სპორტს“, თორემ ჩვენი პლანეტის ამგვარ საკრებულოს ზღურბლს ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის წინათ გადააბიჯა, როცა იმ დროს კალათბურთში არსებული თითქმის ყველა უმაღლესი მწვერვალი დაიპყრო, მერე კი თავის შეგირდებს, თბილისის დინამოელებს ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასი მოაგებინა.

ახლა „მსოფლიო სპორტში“ შესულ ოთარ ქორქიას ჰოლში საკუთარი თავი დახვდა — მოქანდაკე მიხეილ გვასალიას მიერ ვეტერან კალათბურთელთა დაკვეთით გამოძერწილი მშვენიერი ბიუსტი, მერე კი დარბაზში შესულს ყველა ფეხზე წამოუდგა, ტაშით შეეგება და მიეფერა. მათ შორის იყვნენ ჰელსინკის ოლიმპიური თამაშების მედალოსნები, საქართველოს პირველი ოლიმპიური ჩემპიონები მედეა ჯუღელი, დავით ციმაკურიძე, რაფაელ ჩიმიშკიანი და, რა თქმა უნდა, ნოდარ ჯორჯიკია, ვისთან ერთადაც ოთარ ქორქიამ ვერცხლის მედალი მოიპოვა, იყვნენ საქართველოს სპორტისა და ოლიმპიური მოძრაობის ხელმძღვანელები, ყველას კი, ცხადია, კალათბურთელები სჭარბობდნენ; იყვნენ ხორვატი სტუმრებიც, მათ შორის უკვე გაშინაურებული, თბილისის „დინამოსა“ და საქართველოს ნაკრების მწვრთნელი დრაჟენ ბრაიკოვიჩი. სამწუხაროდ, მისი კოლეგა, ოლონდ ფეხბურთის სფეროდან, ივო შუშაკი ამ საიუბილეო საღამოს ვერ დაესწრო. „სამაგიეროდ“, იყო სხვა მისი თანამეამულე — ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციის განვითარების პროგრამების ხელმძღვანელი ჰეოიე ზმაჯიჩი.

ოთარ ქორქია და ოთარ ქორქია

სტუმარ-მასპინძელებმა ვეება ეკრანზე იხილეს ახალგაზრდა ოთარ ქორქიას ბურთით ფრენა, რომელიც გასაგებ მიზეზთა გამო ძუნწად იყო წარმოდგენილი. აი, საბჭოთა და აშშ-ს კალათბურთელთა მიუნხენის ოლიმპიური ფინალი ზურაბ საკანდელიძისა და მიხეილ ქორქიას მონაწილეობით კი სრულად ნახეს, რასაც დრაჟენ ბრაიკოვიჩი თვალს ვერ წყვეტდა. მისი ამგვარი მზერა, რაღა თქმა უნდა, მზვერავ ავთანდილ იოსელიანის მზერას არ გამოპარვია, რომელიც გაშლილი სუფრის ხან ერთ, ხან მეორე მხარეს ისე გასცქეროდა, როგორც გენერალი ბრძოლის ველს. თუმცა, უშიშროების გენერალი ისედაც არის და საქართველოს კალათბურთის ფედერაციაშიც შინაურ კაცად ითვლება, როგორც მისი აღმასკომის წევრი. ამიტომაც კალათბურთის ფედერაციისა და ოლიმპიური ფონდის მიერ მოწყობილ ამ ღამეს საღამოს სწორედ იგი უძღვებოდა, როგორც თამადა. თუმცა, იმ საღამოს ყველაზე მეტი მან კი არა, ვეტერანმა კალათბურთელმა, საბჭოთა კავშირის ჩემპიონმა სერგო მაღალაშვილმა დალია, როცა ოთარ ქორქიას საღღეგრძელო განსხვავებულად, პირდაპირ ბოთლის გამოცლით შესვა.

ავთანდილ გურასაშვილი

ავტორის ფოტოები

ოთარ ქორქიას ყველა ფეხზე წამოუდგა და ტაშით შეეგება



სერგო მაღალაშვილმა ოთარ ქორქიას საღღეგრძელო განსხვავებულით დალია



პირველი ქართველი ოლიმპიელები — ნოდარ ჯორჯიკია და დავით ციმაკურიძე

დრაჟენ ბრაიკოვიჩმა ეკრანს თვალი ვერ მოსწყვიტა

ქართული რაგბისა და ახალი მემარჯვენეების ლიდერები — ბიძინა გეგიძე და ლევან გაჩეჩილაძე საკუთარი ჩამოსხმის ღვინოსთან ერთად

თამადა — ავთანდილ იოსელიანი

ოთარ ქორქიას იმ დღეს დაც მიეფერა, მეუღლეც და მთელი საზოგადოებაც

NBA PLAY OFF მეორე წრე ოთხ მოგებამდე

განადგურებულმა კელტებმა ჯეისონ კიდი ცაში აიყვანეს და თავი გამოიყვანეს

12 მაისი

აღმოსავლეთი

ნიუ ჯერსი 4:0 ბოსტონი

ბოსტონი 101:110 ნიუ ჯერსი

ძირითადი დრო 90:90

ბოსტონი: დელკი (23), პირსი (27 ქულა, 10 მოხსნა, 7 პასი), მაკკარტი (3), უოლკერი (20 ქულა, 9 მოხსნა, 7 პასი, 5 ჩაჭრა), ბათი (6); უილიამსი (18), ბლუნტი (4), პრემერი, ლონგი, კოულზი

ნიუ ჯერსი: კიდი (29 ქულა, 10 მოხსნა, 8 პასი), კიტლზი (14), ჯეფერსონი (15), მარტინი (22 ქულა, 10 მოხსნა), კოლინზი (6); როჯერსი (12), ჰარისი (6), უილიამსი (4), ჯონსონი (2)

მეორე ოვერტაიმის მიწურულს ჯეისონ კიდმა წყვილი საჯარიმო ხაფანგი „ბოსტონს“ და თავისი „ნიუ ჯერსი“ 107:101 დააწინაურა. კიდევ რამდენიმე წამში, უფრო ზუსტად, მეორე დამატებითი დროის ამოწურვამდე წამითი ადრე, მანვე სამქულიანი ჩააჭედა „სელტიქსის“ კალათში და პლეი ოფიდან დაითხოვა ეს მებრძოლი, მაგრამ მხოლოდ საშუალო გეგრდი.

„ნიუ ჯერსი“ ზელიზედ მეორედ აგდებს „კელტებს“ პლეი ოფიდან და ამათაც გულზე არ ეხატებათ, მაგრამ იძულებულნი არიან, დიდი ქალაქის გარეუბნელთა უპირატესობა აღიარონ, მეტადრე ერთი მათგანისა, ჯეისონ კიდისა, რასაც აკეთებს კიდეც ბოსტონელთა თავკაცი ჯიმ ობრაიენი — „ჯეისონ კიდი დიდი მოთამაშეა. ის საუკეთესო მეპასეა, რომელიც კი მინახავს ცხოვრებაში.“ ობრაიენი მხცოვანი კაცია და ალბათ სხვებიც ეყოლება ნანახი, მაგალითად, მეკიქ ჯონსონი, ჯონ სტოქტონი, აიზია ტომასი, მაგრამ უპირატესობას მაინც კიდს ანიჭებს. ცხადია, ეს მისი ნებაა. ვისაც მოისურვებს, იმას მოაწონებს და შეაქებს. ჩვენ კი შევნიშნოთ, რომ „სელტიქსს“ სხვა და სხვა ეპოქაში კიდის გუნდიც უგებდა და მეკიქ ჯონსონისაც. ეგაა, კიდისგან ძლეული „ბოსტონი“ მეკიქის დროინდელ „ბოსტონს“ ფეხის ფრჩხილზე თუ მიეზიმება.

კიდის ქებაში უფრო შორს შეტოპა ობრაიენის შეგირდთაგანმა ერიკ უილიამსმა. ის კიდს დღევანდელობის საუკეთესო კალათბურთელად მიიჩნევს.

საუკეთესო არის ჯეისონ კიდი თუ არა, ბოსტონელებს კი გასწვლა. მათ ახლა დაიწყეს მეტოქის ქების კორიანტელი, თორემ მოეღინნე მას ითასგვარი ხერხებით ებრძოლნენ, ბინძურ თამაშსაც არ კადრულობდნენ, შარშან წარბი ისე გაუხეთქეს, იარა ღლესაც ეტყობა კიდს ებრძოდნენ ბოსტონელი ქომაგებიც, ისინი დაუნანებლად შეურაცხყოფდნენ მეტოქის ლიდერს და ასეც ცდილობდნენ, წყობიდან მის გამოყვანას. კიდმა ახლო ტრიბუნაზე ხურდაც დაუბრუნა ერთ მშფოთვარე ფანს, რომელიც ძვირ ადგილზე მჯდომი კაცის კვალობაზე საკმაოდ ხმამაღლა და უტიფრად უკიოდა „ნეთსის“ ლიდერს — „შე ცოლის გამლახავო!“ კიდს შარშანდელივით აგონებდნენ შარშანწინდელ ამბავს, როცა მან ცოლი, მშვენიერი ჯუმანა გალახა. კიდი რამდენიმე დღეშივე შეურიგდა მისის კიდს და ისიც ხშირად თან დაჰყვება გასვლით თამაშებზე. მაგრამ ჯუმანა მუდამ ერიდება ბოსტონში ჩასვლას და არც ახლა ჩაჰყვა ქმარს. მისი თქმით, ამ „ხისთავა ირლანდიელების“ ქალაქში.



REUTERS ბოსტონიდან



ნბა-ს პლეი ოფებს მუდამ ახლავს გამარჯვებულთა განცხრომა და დამარცხებულთა წუხილი

კიდის ამბავის შემდეგ აღვნიშნოთ, რომ „ნიუ ჯერსიმ“ პირველად მოუგო მეტოქეს 4:0. ათას ხალეიოფო ჭირგამოვლილმა და 16-გზის ჩემპიონმა „ბოსტონ სელტიქსმა“ კი მხოლოდ მესამედ წააგო სერია 0:4.

„ნიუ ჯერსი“ აღმოსავლეთის ფინალში, სხვაგვარად კი მთლიანად პლეი ოფის ნახევარფინალში პირველი გავიდა და იქ „დეტროიტსა“ და „ფილადელფიას“ შორის გამარჯვებულს დაელოდება. კიდს და მისიანებს დასვენებისთვის კარგა დრო ეძლევათ. „დეტროიტ“ — „ფილადელფიას“ შორის ანგარიში ჯერ მხოლოდ 2:2 გახლავთ ანუ მინიმუმ ორი მატჩი კიდევ სათამაშოა.

კოტე ყორღია

NHL სტენლის თასი

კონფერენციის ფინალი

იხვის ტოლმა

ჰოკეის სამყაროში ყველაზე პოპულარული ხერძი ამჟამად

12 მაისი

დასავლეთი

მინესოტა 0:2 ანაჰაიმი

მინესოტა 0:2 ანაჰაიმი *0:0 0:1 0:1*

0:1 სოიერი (28), 0:2 ნიდერმაიერი (49)

მინესოტას საქმე უფრო ცუდადაა, ვიდრე ... ნიმიდან ჩანს. „უთალლის“ მოთამაშე ვეს უოლ... პირველი მატჩის შემდეგ ამბობდა, როგორც კი შაიბას მივიღებდი, მაშინვე თვალწინ ანაჰაიმელთა მაისურა მეხატებოდა, თვალებს რომ ვხუჭავ, მაშინაც კი ის ეხერი იხვი მელანდებაო. ამა, იფიქრეთ, რა დაემართებოდათ უოლეს და მისიანებს თამაშის მერე. მასპინძლებმა კვლავ ვერფერი მოუხერხეს ანაჰაიმის დალაგებულ დაცვას. ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს ყინულზე ინსფერი და იხვიანი მაისურები სჭარბობდნენ. ეს იმიტომ, რომ სტუმრები ყველგან ასწრებდნენ ყოფნას და მეტოქეს მისსავე ზონაშიც კი არ აძლევდნენ ამოსუნთქვის საშუალებას. თუ პირველ თამაშში მინესოტელთა ტერიტორიული უპირატესობა აშკარა იყო, ამჯერად ყველაფერი საპირისპიროდ შეიცვალა. მასპინძლებმა თავიანთი ყველაზე ეფექტური იარაღი, რაკეტმრავლობაც კი ვერ გამოიყენეს. მეტიც ლუეინ რიულსონის კარში ორივე შაიბა მაშინ გავიდა, როცა ანაჰაიმი კაცნაკლული იყო. პირველად სტუმრებმა ჩინებული კომბინაცია გითამაშეს და მცველმა კურტ სოიერმა პლეი ოფში პირველი შაიბა შეაგდო. მეორედ კი რომ ნიდერმაიერმა საკუთარი ზონის სიღრმიდან ჩინებული პასი მიიღო, მეკარესთან პირისპირ გავიდა და ზუსტად გაისროლა. მინესოტამ ორი კარი მიმეტრტი მაინც შექმნა, მაგრამ ჟან სებასტიენ ჟიგერი კვლავაც სიამედოდ იცავდა კარს და თავისი მშრალი დრო 153 წუთამდე გაზარდა.

„ჩვენი გიკვირთ? დეტროიტის თავდასხმამაც კი ვერ შეძლო ამათი დაცვის გარღვევა“ — მინესოტელ ენდრიუ ბრიუნტს თითქოს იმედიც ამოსწურვია.



REUTERS ჰელსინკიდან

პატრიოტული მოტივები თანამედროვე ჰოკეიში

ჰოკეის ქომაგები დიდხანს ელოდნენ ამას. მსოფლიოს ჩემპიონატებზე უგემური ტაქტიკური ბრძოლებისა და დაცვითი სისტემის ჭარბად წარმოჩენის შემდეგ ხალხი როგორც იქნა, მოესწრო საინტერესო, შინაარსიან პირველობას. ანალიტიკოსები კლაუს ცაუგი ამბობენ, დადგა შეტევითი ჰოკეის რენესანსის ხანა. ძნელი გასახსენებელია, როდის გაუშვა ჩეხეთმა ერთ თამაშში 8 გოლი. მეოთხედფინალურ და ნახევარფინალურ შეხვედრებში 11-12 გოლი გადიოდა.

თავიდანვე ისეთი აურა შეიქმნა, რომ იგრძნობოდა, ეს ჩემპიონატი განსაკუთრებული იქნებოდა. ფინეთში ნჰლ-ელ სუპერვარსკვლავთა დესანტის ჩასვლის წინაპირობაც იმთავითვე შეიქმნა. პირველივე რაუნდში გაცვივდნენ ლიგის მონსტრები — დეტროიტი და კოლორადო, შემდეგ მათ დალასიც მიჰყვათ. შედეგად ვარსკვლავებმა მსოფლიოს ჩემპიონატისთვისაც მოიცალეს და რაც მთავარია, არ აარიდეს თავი ფინეთში წასვლას. გავიხსენოთ წინა პირველობა, როცა სლოვაკებმა სხვა ნჰლელებს პატრიოტიზმისა და საქმისადმი პროფესიული მიდგომის მაგალითი მისცეს. 2002 წელს სწორედ პალფის, ბონდრას, შატანისა და კომპანიის მაღალმა ოსტატობამ განაპირობა სლოვაკთა ზეობა. ნურც იმას დავიიწყებთ, რომ ნჰლ-ში მოთამაშე უამრავ ვარსკვლავს სტენლის თასის მოგება არ ღირსებია და ეგებ ვერც მიაღწიოს ამას. ამიტომისინი, აი, თუნდ მათს სუნდინი საერთაშორისო ტურნირებში იკლავს გამარჯვების წყურვილს. ამიტომაც იბრძოდა იგი ამ ტურნირზე ლომივით. არადა შეეძლო, საერთოდ არ ჩასულიყო ფინეთში და მას ამაში ვერავინ დაადანაშაულებდა, ნჰლ-ის პლეი ოფში ტრავმა მიიღო. ტურნირის უძვირფასესის წოდებაც სუნდინს შეხვდა.

ჩემპიონატის შეფასებას თუ სხვა კუთხიდან შევეცდებით, კანადელთა გაჩემპიონებას, შეიძლება, პარადოქსულიც ეწოდოს. ფინალში უფრო შვედების მოგებას წინასწარმეტყველებდნენ. ვიკინგებს ბევრად მეტი ვარსკვლავი ჰყავდათ. ფორსბერგ-სუნდინის ერთ ნაკრებში ყოფნა აქამდე მუდამ მოგების საწინდარი იყო, მაგრამ შედარებით მოკრძალებული სახელის კანადელებმა ორგანიზებულობისა და გუნდური თამაშის წყალობით იმარჯვეს, რაშიც მთავარი წვლილი გუნდის თავკაც ენდი მორეის მიუძღვის. საინტერესოა, რომ მაშინაც, როცა 1997 წელს კანადამ ბოლო მსოფლიო ოქრო მოიპოვა, ნაკრებს მიურეი ხელმძღვანელობდა.

ძალიან მაღალ დონეზე ჩაატარეს პირველობა ყოფილმა ძმებმა, ჩეხებმა და სლოვაკებმა. თანაც ამ უკანასკნელებმა ზედიზედ მეორე ტურნირზე აიღეს მედალი და მსოფლიოს ჰოკეის ელიტაშიც ჩაეწერნენ.

ჩემპიონატი კვლავ უიღბლო გამოდგა მასპინძელთათვის. ფინელებმა მთელი ტურნირი უღიმღამოდ, არცთუ დამაჯერებლად ჩაატარეს, თუმც შვედებთან მეოთხედფინალისთვის ნამდვილად ქება იმსახურებენ. აი, რუსები კი შარშანდელი ვერცხლის შემდეგ ჩვეულ სიღრმეებს დაუბრუნდნენ. მათი ფიასკო იმის კიდევ ერთი დასტურია, რომ ძლიერი ნჰლ-ელების გარეშე „მსოფლიოს“ ვერაფერს დააკლებ.

სამეულ ღარიბიანი

ჩემპიონატის რჩეულები

უძვირფასესი მოთამაშე: მათს სუნდინი (შვედეთი)
საუკეთესო მეკარე: შონ ბურკი (კანადა)
საუკეთესო მცველი: ჯეი ბოუმისტერი (კანადა)
საუკეთესო ფორვარდი: მათს სუნდინი (შვედეთი)

საუკეთესო ეძებული

შონ ბურკი (კანადა); ჯეი ბოუმისტერი (კანადა) — ლუბომირ ვისნოვსკი (სლოვაკეთი); მათს სუნდინი (შვედეთი), დანი ჰიტლი (კანადა) — პეტერ ფორსბერგი (შვედეთი)

ბომბარდირები: ჰალფი 15(7+8), შტუმპელი 15(4+1), ვისნოვსკი (ყველა სლოვაკეთი) 12(4+8), სელიანე 11(8+3), კოლეუ (ორივე ფინეთი) 11(1+10), ჰიტლი (კანადა) 10(7+3), სუნდინი (შვედეთი), შატანი (სლოვაკეთი), სტრაკა (ჩეხეთი) 10(6+4), რანტანენი (ფინეთი) 9(5+4), ფორსბერგი (შვედეთი), ბრირი (კანადა) 9(4+5)

აბა, რაფო, ვნახოთ, რა შეგიძლია

ეტყვის მოია 16 წლის ნადალს და მოუგებს

TENNIS MASTERS HAMBURG
ჰამბურგი. თიხნარი
საპრიზო 2,45 მილიონი ევრო

პირველი წრე

ფელისიანო ლოპესი (ესპანეთი) — პარადორნ შრიჩაფანი (7, ტაილანდი) 6:4, 6:3; გუსტავო კუერტენი (11, ბრაზილია) — ხუან იგნასიო ჩელა (არგენტინა) 6:2, 6:4; გილერმო კორია (12, არგენტინა) — ვინსენტ სპედია (აშშ) 6:2, 6:2; ტიმი როზრედო (14, ესპანეთი) — რადეკ სტეპანეკი (ჩეხეთი) 6:4, 6:3; გასტონ გაუდიო (არგენტინა) — ჯეიმს ბლეიკი (16, აშშ) 6:7 (3:7), 6:1, 6:2; ტიმ ჰენმანი (ბრიტანეთი) — ჟან-მიშელ გემბილი (აშშ) 7:5, 6:4; ოლივიე როზუსი (ბელგია) — იუნეს ელ აინაუი (მაროკო) 7:6 (9:7), 6:4; არნო კლემანი (საფრანგეთი) — ნიკოლას ლაპენტი (ეკვადორი) 6:4, 6:2; უილი ფერეირა (სამხრეთ აფრიკა) — ალექსანდერ ვასკე (გერმანია) 6:3, 6:2; იარკო ნიემინენი (ფინეთი) — შტეფან კუბეკი (ავსტრია) 6:4, 0:6, 6:1; რაფაელ ნადალი (ესპანეთი) — პოლ-ანრი მათიო (საფრანგეთი) 7:5, 6:4; ნიკოლაი დავიდენკო (რუსეთი) — ადრიან ვოინია (რუმინეთი) 6:0, 6:2; მარიანო საბალეტა (არგენტინა) — კაროლ კუჭერა (სლოვაკეთი) 7:5, 6:4; აბუსტინ კალერი (არგენტინა) — ლი ჰიუნგ-ტაიკი (სამხრეთ კორეა) 3:6, 7:6 (7:1), 7:5; დავიდ სანჩესი (ესპანეთი) — მარდი ფიში (აშშ) 5:7, 6:4, 6:2; ლარს ბიურგსმიულერი (გერმანია) — უგო არმანდო (აშშ) 6:4, 6:4

მაშ ასე:

როლან გაროსის დაწყებამდე ორ კვირაზე ნაკლებიღა დარჩა და მსოფლიოს ზეპური მეჩოგნეები საფრანგეთის ღია პირველობისწინა ბობოლა თიხნარტურნირებზე ითელებიან.

რომში საქმემოყომარებულმა კაცებმა ჰამბურგულ მასტერსზე გადაინაცვლეს, ბერლინურ თიხნარზე ნაპაექრები გოგოშკები კი ახლახან ნაკაცარ რომაულ კორტებს შეეფინენ.

გოგოშკებზე ოდნავ ქვემოთ, აქ კი ხამს, ჰამბურგულ წითელმტვერში მოოფლავე კაცებზე ვიუბნოთ.

კაცებთან ყველაფერი იმით დაიწყო, რომ მე-11 ნომრად განთესილმა გუსტავო კუერტენმა, ვინაც ტურნირის 2000 წლის ჩემპიონია, შთამბეჭდავად შემუსრა არგენტინელი ხუან იგნასიო ჩელა.

სამგზის მერლანგაროსე ბრაზილიელმა ვერ იქნა და შარშან გადატანილი ოპერაციის შემდეგ საზეო ფორმა ველარ დაიბრუნა. მისი საამსეზონო თიხნარმონაგარი ხუთი მარცხის წილ ოდენ 10 გამარჯვებაა, ბოლო სამი ტურნირიდან ორში კი სულაც ადრეწრეებშივე დაიჩოგნა.

პარიზამდე ერთი რიგიანი კვირა ნაღდად მჭირდებაო, ამბობდა ჩელას ძლევის შემდეგ კუერტენი: „რაც შეიძლება ბევრი მატჩი უნდა მოვიგო. თუკი აქ რასმე გამოვჩენი, როლან გაროსზე უფრო თავდაჯერებული და შემართული ჩავალ.“

მომდევნო წრეში გუგას რუსი ნიკოლაი დავიდენკო, წლევანდელი ეშტორილური თიხნარტურნირის გამარჯვებული გამოსცდის. რუსმა იმ დღეს რუმინელ ვოინიას გადაუარა...

კუერტენის დარად წარმატებული გამოუდგა ის დღე ტიმ ჰენმანსაც, რომელიც აზრზე მას შემდეგ ვეღარ მობრუნებულა, რაც რომ შარშან მხარზე იმკურნალა.

28 წლის ოქსფორდელი პირველ წრეში ჟან-მიშელ გემბილს შეება და ისე შთამბეჭდავად იბურთავა, არავინ რომ არ ელოდა.

ამ მოგების შემდეგ ჰენმანის საწლევანდლო ბალანსი 6 წაგების წილ უკვე 3 მოგებას შეადგენს, რაიც — თავადვე დაგვეთანხმებით — 9-გზის მეტიტულე კაცისთვის დასტურ შეუფერებელი ამბავია...

რაკიღა აქ გემბილის ხსენება მოგვიხდა, ბარემ ყურადღებას იმაზეც მიგაქცევინებთ, რომ ტურნირს პირველსავე დღეს მოაკლდა ხუთი ამერიკელი. გემბილის გარდა ამა თუ იმ მეჩოგნისგან იძლიენენ მე-16 ნომრად განთესილი ჯეიმს ბლეიკი, ვინსენტ სპედია, მარდი ფიში და კიდევ ვინმე უგო არმანდო.

ამერიკელთა სკივრს ერთადერთ იმედად მე-4 ნომრად განთესილი ენდი როდიკიღა შერჩა.

ამასობაში კი ტურნირის პირველი სენსაციაც გაიმასჭნდა. თუმცა პარადორნ შრიჩაფანის თიხნარჩაფლავებანი უკვე დიდი ხანია აღარავის ესენსაციება — პიტალო აზიელი ჯიშად მემაგარსაფრე ქაჯმაჯუნაა და თიხნარზე ისევე ბითურად გამოიყურება, როგორც რომ ვირი ოპერაში.

ჰო, მართლა — ჩანაჩაის ძეს ამჯერად ჭაბუკი ესპანელი ფელისიანო ლოპესი მოერია.

ხოლო ესპანელის ხსენებაზე ის ამბავიც უნდა გამოვამკვეთროთ, რომ ლოპესის გარდა იმ დღეს კიდევ სამმა იქაურმა ითამაშა და — კეთილი ტრადიციისამებრ — იმარჯვა კიდეც.

იმ სამიდან გამორჩევას იმსახურებს 16 წლის რაფაელ ნადალი, რომელიც ჩვენი თაგვმაუსის არეში პირველად მონტეკარლოურ ტურნირზე მოექცა და ახლა კი ზორბა, მაგრამ უნიჭო ფრანგ პოლ-ანრი მათიოს აჯობა.

მომდევნო წრეში ეს უწლოვანი მალიორკელი ალბათ თავის კერპს, კარლოს მოიას შეხვდება. მოია პატარა რაფოს მეგობარი, მეკეჭნავე და მფარველია და მათი პირველი ოფიციალური დაპირისპირება შაბაშ სენტიმენტალური შარავანდედით უნდა შეიმოსოს...

ხოლო მერე რომ არ დაგვავიწყდეს, აქვე დავთქვათ — ამ ტურნირზე გამარჯვებულს ჰარი-ჰარალოსა და მშვიდობის მომდევნო სადეგრძელოს გარდა 462,313 დოლარიც ერგება.

და კიდევ — ჰამბურგში შეკრებილ ამქარს კისკასი ავსტრალიელი ლეიტონ ჰიუიტი თამადობს. ზღვისპირა დოიჩქალაქში ის იქ პრუსთა დედაბერლინიდან ჩავიდა, სადაც წინა კვირაში თავის ფუმფულა მეგობარ ქალ კიმ კლაისტერსს ქომაგობდა.

TELECOM ITALIA MASTERS
რომი. თიხნარი
საპრიზო 1,3 მილიონი დოლარი

პირველი წრე

კონჩიტა მარტინესი (ესპანეთი) — ელენა დოკიჩი (9, სერბეთი და ჩერნიგორია) 6:4, 3:6, 7:5; ლაურა გრეფენილი (აშშ) — მეგან შონესი (15, აშშ) 7:5, 6:3; ანა პისტოლეზი (16, ისრაელი) — ელენა ტატარკოვა (უკრაინა) 6:0, 6:4; ამანდა კუცერი (სამხრეთ აფრიკა) — იროდა ტულიაგანოვა (უზბეკეთი) 2:6, 6:3, 6:0; კარა ბლეკი (ზიმბაბვე) — რიტა გრანდე (იტალია) 6:3, 7:5; ნატალი დეში (საფრანგეთი) — ეშლი ჰარკლროუდი (აშშ) 1:6, 6:3, 6:2; ემილი ლუა (საფრანგეთი) — დენიზა ბლადკოვა (ჩეხეთი) 6:3, 7:6 (7:1); ბარბარა შეტი (ავსტრია) — ანტონელა სერა ძანეტი (იტალია) 6:4, 6:0; ტინა პისნიკი (სლოვენია) — ადრიანა სერა ძანეტი (იტალია) 6:0, 6:4; ემანუელე გალიარდი (შვეიცარია) — ელენა იანკოვიჩი (სერბეთი და ჩერნიგორია) 7:5, 2:6, 7:5

რომაულ კორტებს ჯერ ოფლიანი კაცების სუნი არ გამონელებოდათ, დამბანგავ ქალურ სურნელში რომ გაეხვევნ. მსუყე, 1,3-მილიონიან ღვეზელში წილის დასადებად მოგროვილმა ქალმეჩოგნეებმა მარადიულ ქალაქს ამ დღეებში მარადქალური ხიბლი დაუბრუნეს.

და რა სამწუხაროა, რომ მათგან ერთ-ერთ უმშვენიერესს იმ დღეს ჩოგნის ნაადრევად დაშალითება მოუხდა.

მიხვდით, არა, ვისაც?! ჰაი-ჰაი, რომ მიხვდებოდით.

ჰოდა, ბევრი რომ არ ჩავახუჭუჭოთ, მოკლედ მოვსჭრათ — ელენა დოკიჩს ამ ჯერზე ტურნირის 1993-96 წლების ჩემპიონი, ამჯერად მსოფლიო კლასიფიკაციის ოდენ 27-ეადგილოსანი კონჩიტა მარტინესი გაუსწორდა.

ვეტერან ესპანელს სალუქ სერბგოგოსთან ნათამაშები წინა ხუთი შეხვედრიდან ვერც ერთი ვერ მოეგო, მაგრამ დოკიჩი წლეულს ისეთი აჭრილია, მისი კაცის, ენრიკო ბერნოლდის მეტი კაცაშვილი ვერ უშველის.

არადა, ელენა საამკვირაო რეიტინგსიებში კვლავ ათეულში იყო და იმედი ჰქონდა, ჩაუქი რომაული გარჯით იქ მდგომარეობას კიდევ უფრო განიმტკიცებდა.

ვერ განიმტკიცა. კონჩიტა მარტინესისთვის კი ეს მარადქალაქში ნაჩოგნავები 53 მატჩი და აფერუმ 46-ე გამარჯვება გახლდათ.

დანარჩენი მერმე იყოს. ისე კი, აქვე გეტყვით, რომ შარშანდელი ჩემპიონი სერენა უილიამსი საქმეში მეორე წრიდან ჩაერთვება.

ტურნირს გამოაკლდა შარშანდელი ფინალისტი და გასულ უქმეებზე ბერლინში ნახეირალი ჟუსტინ ენენ-არდენი, ვისაც თავისი ცუნცულა მუხლი მოუსატკივრებია.

ლევან კელაურაძე

ქალთა ჩოგბურთის ბიცოლამ კონჩიტა მარტინესმა შვილისტოლა ელენა დოკიჩი ააცრემლა

ლეონსიო ჯერ სიარულს სწავლობს

საქართველოს ნაკრების ეკსკაპიტანს და შერკინების ბურჯს ლევან ცაბაძეს ორშაბათს საზარდულის ოპერაცია გაუკეთეს საფრანგეთის ქალაქ მონფერანში. ოპერაციამ ორ საათს გასტანა და, როგორც მონფერანელი ქირურგები ამბობენ, ყველაფერმა კარგად ჩაიარა.



— ეს წუთია, იმ ქირურგს ველაპარაკე, რომელმაც ოპერაცია გამიკეთა, დამპირდა, ერთ თვეში თამაშს შეძლებო. საზარდულის ორივე მხარეს, მუცლის არეში მაქვს ჭრილობა. ახლა მუცლის კუნთები მტკივა, მაგრამ ექიმები მეუბნებიან, რომ ტკივილი ორ დღეში გამივლის — გვითხრა გუშინ ცაბაძემ, როცა საფრანგეთში დავუკავშირდით.

საავადმყოფოში „ლეონსიო“ ამ პარასკევამდე დარჩება. სანამ გაწერენ, ბორჯღალოსანთა მორკინალს საავადმყოფოს ფოიეში გავლა-გამოვლის ნება დართეს. ცაბაძე ორ კვირაში შეუდგება მსუბუქ ვარჯიშს.

— წესით, ორ კვირაში ძუნძული უნდა დავიწყო, მერე სიმძიმეებს შევაპარებ და, როგორც მეუბნებიან, ერთ თვეში ვითამაშებ კიდეც — იმედიანადაა ცაბაძე.

ბაჩო სვანიძე

ველორბოლა

ჯირო დიტალია 10 მაისი - 1 ივნისი

ერთ მომცრო იტალიურ ქალაქში, კომოში ამ შაბათს დაიწყო ის, რაც პირველ ივნისამდე მთელ იტალიას მოიცავს. მსოფლიოს გამორჩეული ველომრბოლები თავიანთ „ბედაურებს“ 21 დღის მანძილზე ჩექმის ფორმის ქვეყნის აღმართ-დაღმართიან, მაგრამ გასანსალებულ ტრასებზე აჯირითებენ. ერთი სიტყვით, დაიწყო რანგით მეორე ველორბოლა — ჯირო დიტალია, რომელიც თავის მასშტაბურობით და პრესტიჟით მხოლოდ ფრანგულ ტურ დე ფრანსს ჩამოუვარდება

ჯირო უდოვინგოდაც წაიგოლნა

მრბოლები, სპეციალისტები, ჟურნალისტები და მათ შორის ორგანიზატორებიც პირველივე ეტაპიდან მოელიან დოპინგ-სკანდალებს, მაგრამ ჯერ-ჯერობით არც პოლიციას და არც რაგინდარა სინჯის სტიმულატორებზე დაგეშილ ლაბორანტებს არ გამოუდვიათ თავი. სკანდალი კი უკვე მოხდა, თუმც ამას სისხლის დოპინგით წაბილწვასთან საერთო არაფერი აქვს. წაიბილწა ყველაზე მთავარი, სპორტული პრინციპი, თუგინდ ფეირ პლეის წესი.

მესამე ეტაპის მომგები სტეფანო გარძელი

ეს ამბავი ჯიროს მეორე ეტაპზე მოხდა, კაპერტინოდან მატერამდე გაჭიმულ 177 კილომეტრიანი ტრასის ბოლო 200 მეტრზე. ლამის ოთხსაათიანი და ძალიან მომქანცველი რბოლის ბოლოს პელოტონს ორი ჩაუქი სარინტერი, ავსტრალიელი რობი მაკივენი და იტალიელი ფაბიო ბალდატო მოსწყდნენ და ერთმანეთში გააჩაღეს პედლაობა. სპურტი მაკივენმა მოიგო და ფინიშთან პირველიც მივიდა, მაგრამ ეს ისეთი მანევრით გააკეთა, სხვა ჯურის რბოლებში, მაგალითისთვის ფორმულა 1-ში ბოლიდის კედელზე მინარცხებით და მისი ნამსხვრევებად ქცევით რომ მთავრდება.

„როდესაც მაკივენი და მე ერთმანეთს გავუსწორდით, მან ჩვენ შორის დისტანცია შეამცირა და სიჩქარე რომ არ დამეგდო, უეჭველად კედელზე მიმასრესდა“ — თქვა რბოლის შემდეგ ბალდატომ. ინციდენტი ტურის ტექნიკურმა კომისიამ განიხილა და ვიდეოჩანაწერის რამდენჯერმე დატრიალების შემდეგ გამარჯვება იტალიელ მრბოლს მიაკუთვნა, მაკივენი კი სამაგალითოდ დისაჯა. მას ჩამოერთვა მანამდე მონაგრებული ქულები და სულ ბოლო, 70-ე ადგილზე ამოყო თავი.

„საწყენია, რამდენჯერმე ვნახე ეს მომენტი და ამაში რაიმე დანაშაული ვერ ვიპოვე. ეს იყო რბოლა და მანევრი, რომელიც წესებით დასაშვებია. სამწუხაროა, რომ ტექნიკურმა კომისიამ სხვაგვარად გადაწყვიტა. რას იზამ, წინ კიდევ მრავალი ეტაპია და შევეცდები, დაკარკული ავნაზღაურო. ბალდატოს უკვე შევხვდი, ხელი ჩამოვართვი და ეტაპის გამარჯვებულად გამოცხადება მივულოცე“ — ეს მაკივენის კომენტარია.

ცნობისთვის: ველორბოლის მსოფლიოს რეიტინგში რობი მაკივენი სადღეისოდ მეშვიდეა, ხოლო ბალდატო სადღაც მესამე ათეულში ყურყუტებს.

უსკანდალოდ და უექსცესოდ ჩაიარა ჯიროს მესამე ტურმა, რომელიც პოლიკოროდან ტერმემდე გაჭიმულ 145-კილომენტრიან დისტანციაზე გაჩაღდა და ფინიშთან მისულ პირველ ათეულში მხოლოდ ერთი არაიტალიელი, უკრაინელი სერგეი გონჩარი აღმოჩნდა. ეტაპი კი მასპინძელთა ჯილამ სტეფანო გარძელიმ მოიგო.

მესამე ეტაპის შემდეგ საერთო ჩათვლას იტალიელი ალესანდრო პატაჩი ლიდერობს, რომელიც ზურგს უკან ერთბაშად ცხრა თანამემამულის სუნთქვას გრძნობს. საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ წლევანდელ ჯიროსაც იტალიელი მოიგებს. ბოლო ექვსი ჯიროზომ იტალიელებისა იყო.

ბაჩო სვანიძე

ტექნიკური შედეგები

II ეტაპი. 11 მაისი
პოპერტინო — მატერა 177კმ

1 ფაბიო ბალდატო (იტალია, ალესიო) 4სთ 46წთ 57წმ
2 გაბრიელე კოლუმბო (იტალია, დომინა ვაკანცე) იგივე დრო
3 ჯულიანო ფიგუერა (იტალია, პანარია) იგივე დრო

III ეტაპი. 12 მაისი
პოლიკორო — ტერმე 145კმ

1 სტეფანო გარძელი (იტალია, ვინი კალდიროლა)3სთ 34წთ 38წმ
2 ფრანციესკო კასაგრანდე (იტალია, ლამპრე) მინუს 2 წმ
3 ალესანდრო პატაჩი (იტალია, ფასა ბორტოლო) იგივე დრო

საერთო ჩათვლა

1 ალესანდრო პატაჩი (იტალია, ფასა ბორტოლო)3სთ 37წთ 8წმ
2 სტეფანო გარძელი (იტალია, ვინი კალდიროლა) - 17წმ
3 ფრანციესკო კასარგანდე (იტალია, ლამპრე) - 27წმ

ᲘᲡᲬᲐᲕᲚᲔ ᲓᲐ ᲡᲣᲞᲔᲠᲑᲝᲣᲚᲡ ᲛᲝᲘᲒᲔᲑ

ჩხუბი არ გეგონოთ, იაპონიაში ამერიკული ბურთაობა უყვართ. ამერიკელებს კი ასეთი ტრადიცია დაუმკვიდრდათ, რომ სეზონის გახსნის თამაშს ეროვნული საბურთაო ლიგის გუნდები ტოკიოში ჩაატარებენ ხოლმე. 2 აგვისტოს იქ ტამპელი „ბუკანიერები“ და „ნიუ იორკ ჯეთსი“ ჩავლენ სათამაშოდ. „ბუკანიერები“ სუპერბოულის ბოლო მოიგებნი გახლავან და ახლა ამ თამაშის სარეკლამოდ ჩასულან იაპონიაში, სადაც ადგილ-ადგილ გაკვეთილებსაც უტარებენ იქაურ მოყვარულებს. ტამპელი მცველი შელტონ ქარლესი დაცვის ხერხებს ასწავლის ვასედას უნივერსიტეტის სტუდენტ მობურთალებს.



REUTERS ბოსტონიდან



REUTERS ტოკიოდან

ᲓᲘᲙᲔᲛᲑᲔᲡ ᲯᲐᲒᲠᲘᲡᲘ

„ნიუ ჯერსი ნეთსმა“ ისე დაანგრია „ბოსტონ სელტიკსი“ ენბიეურ პლეიოფში, რომ ერთი თამაშიც არ დაუთმია. აღმოსავლეთის ნახევარფინალი „ნეთსმა“ 4:0 მოიგო, ეს კი მით უფრო ფასიანია, რომ მთავარი ცენტრი, უბერებელი დიკემბე მუტომბო დამავებული ჰყავდა და ერთხელაც ვერ დაიხმარა. „ნეთსმა“ ბოლო თამაში 110-101 მოიგო, დიკემბემ კი ჯავრისს მოავლო ხელი და მოსვლებული მოედნის წმენდას შეუდგა, ვითომდა, მეტის ვერაფრის მაქნისი ვარო.

REUTERS ლოს ანჯელესიდან



REUTERS ოტავადან

ᲡᲔᲜᲐᲢᲝᲠᲔᲑᲘ ᲗᲐᲡᲡ ᲔᲖᲝᲛᲔᲑᲘᲐᲜ

კანადის ჰოკეიში ცხელი ჟამია: „ოტავა სენატორზი“ აღმოსავლეთის კონფერენციის ფინალში გავიდა და იქ „ნიუ ჯერსის“ ხვდება. სტენლის თასი კანადის დედაქალაქშიც ჩამოდგეს ცოტა ხნით გუნდის ხალხთან შეხვედრის აქციაზე ეს პატარა ოტაველი, ჯერ თასის სიგრძეც რომ არ არის, გაიზრდება და თავისიანების ქომაგობას უამრავ ნერვს შეახარჯავს.

ᲓᲐᲠᲓᲘ

ეს სევდიანი სალამოა: „ვესტ ჰემი“ პრემიერლიგიდან გავარდა და ჩემპიონატის ბოლო მატჩზე ბირმინგემს ჩასული მამა-შვილი თავისი გუნდისას ნაღვლობს. „ვესტ ჰემმა“ ფრედ დაამთავრა თამაში „ბირმინგემ სიტისთან“, თუმც მოგების შემთხვევაშიაც გავარდებოდა.



REUTERS ბირმინგემიდან

ᲯᲔᲜᲝ ᲚᲝᲡ ᲩᲐᲦᲝᲛᲔᲑᲐ

რა თქმა უნდა, ლოს ანჯელესში ვართ, შსახიობ-მომღერალ-მოტანცაკეთა მხარეში, რომელნიც საკალათბურთო სამყაროში ერთადერთ გუნდს „ლეიკერსს“ სცნობენ. ლოს ანჯელესის „სტეპლს სენთერში“ ბევრი ვარსკვლავი დაგვილანდავს, ამჯერზე კი ჯენიფერ ლოპესის ჯერია, რომელიც ტკბილად ეჟღურტულება თავის ბიჭს ბენ აფლეკს.

REUTERS ლოს ანჯელესიდან

ᲡᲐᲠᲑᲘᲔᲚᲘ

ᲡᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ

ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲐ 1990 ᲬᲚᲘᲡ 28 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲠᲘᲓᲐᲜ

ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲡᲐᲛᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡ, ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡ, ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡ, ᲞᲐᲠᲐᲡᲙᲔᲕᲡ ᲓᲐ ᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡ

მთავარი რედაქტორი ᲮᲣᲠᲐᲑ ᲨᲘᲪᲮᲕᲔᲠᲘᲐ
დირექტორი ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲝᲥᲠᲝᲞᲭᲔᲓᲚᲘᲫᲔ
რედაქტორი ᲗᲐᲛᲐᲖ ᲛᲘᲒᲠᲘᲐᲣᲚᲘ
მთავარი რედაქტორის მოადგილე ᲡᲝᲡᲝ ᲙᲘᲢᲝᲠᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘ
ტექნიკური რედაქტორი ᲛᲐᲓᲣᲨᲐ ᲒᲣᲨᲑᲔᲚᲐᲫᲔ
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ეკა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია:
გიორგი ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი კობაძე, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲨᲘᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, რუსუდან დარსაველიძე, სვეტა დვალიძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, მალხაზ ჭუმბურიძე

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ:
 თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II პორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge